თებერვალი

1935 წ.

№ 110

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante

Revue mensuelle

FEVRIER

1935—№ 110

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—საბჭოთა კავშირის მე-7 ყრილობა.
რ. ინგილო—საარი და... ქართლის ბრძოლა.
მ. უ.—ჩვენი ეკონ. პერსპ. და კონფედერ. პაქტი.
პ. კაკაბაძე—კომუნისტები საქართველოში.
ი. სალაყაია—წყნარ ოკეანეს პრობლემა.
პრესა.
ნაური—წერილი ამერიკიდან.
უცხოეთის მიმოხილვა.
ჟორჟ ვერნერი.
ბორდოს ქართველთა შორის.

საბჭოთა კავშირის მე-7 ყრილობა

11 თებერვალს 1921 წელს სტალინმა მუხანათურათ შეუსია საქართველოს რუსის ურდოები. 14 წელმა განვლო მას შემდეგ, შეიძლება 14 საუკუნემაც განვლოს, მაგრამ მომავალნი თაობანი ვერ დაივიწყებენ ამ გულშემზარავ ღალატს მშობელ ერისადმი. რუსეთმა რომ არ დაინდო საქართველოს თავისუფლება და გასთელა იგი, არ არის გასაკვირი, ხოლო ქართველმა რომ ჯალათის ხელობა იკისრა, ვერავითარი ძალა ვერ ამოფხვრის ქართველ ერის ხსოვნიდან.

მაგრამ იმავე სტალინის სახელი, როგორც ეს საბჭოთა კავშირის მე-7 ყრილობამ გვაჩვენა, შევა რუსეთის ისტორიშიც, როგორც უსისხლიანეს დესპოტისა, რომლის მზგავსი არ უნახავს თვით კრემლსაც, დასაბამიდან განთქმულს სისხლიან და ტალახიან საქმეებით. ძალაუნებურათ გებადება აზრი, ეს არამზადა იმისთვის ხომ არ მოუვლენია ბოროტ ძალას, რომ რუსებზე ჯავრი იყაროს ქართველების მაგიერ, რომელნიც თვითონვე გასცა! იტყვიან, მაგ., რომ ბოროტების მამათ-მთავარი ლენინი გერმანელებმა მიუგზავნეს დაპლომბილი ვაგონით რუსეთს და ის კიდეც ააფეთქაო.

სტალინის საქმენი კი მე-7 ყრილობამ გამოაფინა. მას თვითონ ენაც არ დაუძრავს, ხოლო ყველანი მისი სახელით იწყებდენ და ათავებდენ სიტყვას. მოსკოვის პრესა უქვეშემრდომლესი სტილით ასწერს მის შემოსვლას კრემლის საზეიმო დარბაზში და შეხვედრას: «ტაშის გრგვინვა და გულის სიღრმიდან ამოძახილთა სიმფონია, ასე გეგონებოდა, ვეება ჭერი თავზე დაგვემხო, თითქო ზეცით გამოჩნდა უთვალავი ავიონები და გვიშენს საშინელი ძალის ყუმბარებს!» ამ სურათს დაესწრო, რა თქმა უნდა, დიპლომატიური კორპუსიც და ფეხზე დგომით შეუერთდა საერთო ზეიმს. გერმანიის და პოლონეთის ელჩები არ წამოდგენ და ამას დიდი საერთაშორისო სკანდალი უწოდეს არა მარტო მოსკოვში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

სტალინი რომ ხმელეთის მეექვსედის ნამდვილი თვითმპყრობელია, ამაზე არ დაობს ეხლა არავინ; მას რომ აღმერთებენ და გუნდრუკს უკმევენ, არც ეს აკვირვებს არავის. ტრავაისტების «დეილ ჰერალდი» შეუშფოთებია ამ ამბავს და წამოიძახებს: «ძლიერი შავი მეფე ოსეპ პირველი გაცილებით უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენს სოციალიზმისთვის, ვინემ სუსტი თეთრი მეფე ნიკოლოზ უკანასკნელი!»

აი, ამაში ცდება ტრავაისტების გაზეთი! მე-7 ყრილობამ დააკანონა, ამიერიდან სოციალიზმი განხორციელებულია, სწორეთ ასე გვიბრძანა უკვდავმა, უგენიოსესმა, ბრძენთა ბრძენმა ჩვენმა ბელადმა «ოსეპ პირველმაო». საბუთი მოლოტოვმა მოიტანა: გლეხობის სამი მეოთხედი კოლხოზებშია, ნამდვილი პროლეტარიზაცია მოვახდინეთო. ტაშის გრგვინვა და ამოძახილთა სიმფონია მასაც ხვდა ამ სიტყვებისთვის. დაჰკრა, მაშასადამე, ჟამი—განაგრძობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლოტოვი—რომ გლეხები მუშებს გავუთანასწორეთ. მანვე წარადგინა რეზოლუცია, რომლის ძალით მუშებს და გლეხებს ენიჭებათ თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო საარჩევნო უფლება, და განსაკუთრებული კომისია, «ზეცის შვილის» თავმჯდომარეობით—როგორც უწოდა სტალინს თურქესტანის ერთმა დელეგატმა—უკვე იმუშავებს სათანადო შესწორებას საკავშირო კონსტიტუციისთვის.

სტალინი უთუოთ დარწმუნდა დასავლეთის პრაქტიკიდან, რომ პლებისციტს, როცა არავითარი გარანტია არ არსებობს სიტყვის, წერის თუ კავშირის თავისუფლებისა და ამრჩეველს მხოლოდ ერთი სია უნდა წარუდგეს, შედეგი იგივე ექნება, როგორსაც დიქტატორი მოისურვებს. თანასწორობა უუფლებოში, მონობაში კეისრობის დასაბამია და «ოსეპ პირველს» არავინ შეედავება, თუ გინდ დაფნის გვირგვინი დაიდგას თავზე.

მხოლოდ ამას ახლავს ერთი უხერხულობა: რაც უფრო მაღლა იწევს კეისარი, მით უფრო ადვილია მისი ნიშანში ამოღება. სტალინი გრძნობს ამას და მისი «გვამის» დაცვა დიდ სახელმწიფო ამოცანად არის აღიარებული. განადგურებულია არა მარტო ტეროორისტული ცენტრი, არამედ მისი მორალური სულის ჩამდგმელნიც, ზინოვიევ კამენევის მეთაურობით.

მთელი სახელმწიფო იერარქიულათ დანაწილებულია, სათავეში დგანან კარის კაცნი, დიდებულნი, მათ მისდევენ მსახურნი, მოხელენი, წესიერების დამცველნი და სხ. განსხვავება მდიდარსა და ღარიბ, ძლიერსა და სუსტ შორის ისე დიდია ამ «სოციალისტურ სამოთხეში», რომ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც კი შეეხარბებათ. მაშასადამე, არსებობენ პრივილეგიური კლასები, რომელნიც, იცავენ რა დიქტატორს, თავის თავსაც იცავენ. დიდკაცობას თან მოსდევს ფუფუნება, დროს ტარება და ეს უკვე ნაბრძანებია კრემლის მიერ: მხიარული კილო ხელოვნებაში, მწერლობაში, თვით მეცნიერებაშიო. დიდი ბალი კრემლის დარბაზში და ლიტვინოვის ციბრუტივით ტრიალი მსოფლიო კარიკატურისტების საგნად იქცა.

ამ რიგათ, მე-7 ყრილობა ამ საერთო კმაყოფილების პათოს წარმოადგენდა. მაგრამ, გარდა შინაურ ფრონტისა, არის საგარეო ფრონტიც და აქ კი ყველაფერი თავის რიგზე არ არის. რადეკმა იცის, რომ რომანოვების მარცხი მუდამ ომიდან იწყებოდა, ეს კი არა თუ გარდაუვალია, არამედ მოახლოებულიცაა—სწერს ის. ამიტომ საჭირო შეიქნა საბჭოთა სამხედრო ძლიერების დემონსტაცია მოსალოდნელ გარეშე მტრების დასაშინებლათ. გენ. ტუხაჩევსკი, ერთის მხრით, და მძიმე ინდუსტრიის კომისარი ორჯონიკიძე, მეორეს მხრით, გადუშლიან ყრილობას გრანდიოზულ სურათს, თუ რამდენათ დაწინაურებულია საბჭოთა კავშირი ინდუსტრიალურათ და აქედან რამდენათ ძლევამოსილია ის სამხედრო დარგში. აქ ბევრი იყო, უეჭველათ, გადაჭარბებული, მტრებმაც იციან ეს, მაგრამ ისინი ეცდებიან, პირიქით, კიდევ უფრო გაბერონ საბჭოთა სამხედრო სამზადისი, რომ ამით დაუმტკიცონ ქვეყნიერებას თავიდან ფეხამდე შეიარაღებულ ბოლშევიზმის განიარაღების აუცილებელი საჭიროება.

შეუმჩნეველი არ დარჩა, განსაკუთრებით ანგლოსაქსონურ პრესისთვის, რომ ლიტვინოვს ნება არ დართეს გამოეფინა ყრილობაზე საბჭოთა «უდიდესი» გამარჯვებანი საერთაშორისო ასპარეზზედ, თითქო მას დავიწყნოდეს რუსული ენა მას შემდეგ რაც ინგლისურათ ვარჯიშობს ჟენევაში. ამკარაა, ბევრი რამ არ მოსწონებია «ოსეპ პირველს» ამ ვარჯიშობიდან, სახელდობრ ისა, რომ მისმა ყმამ შეაქო საარის პლებისციტი. მართლაც, ამდენი დამონავებული ერი შინ და თვითგამორკვევის პრინციპის ქება გარეთ დიდი სკანდალი იყო. სხვაგვარ, საბჭოთა ერთა ლიგაში უკანა კარებიდან შესვლა თვითონ მოლოტოვმა აღნიშნა, რა უნდა დაეძინა ლიტვინოვს, გარდა ტროიანოვსკის დიდი მარცხისა ვაშინგტონში? ამერიკამ უცბათ შეწყვიტა საბჭოებთან სავაჭრო მოლაპარაკება და ცივი უარი მიახალა მოსკოვს ახალ კრედიტებზე, რასაც მოყვა განახლებული კამპანია მასთან დიპლომატიურ დამოკიდებულების შეწყვეტის სასარგებლოთ. მეორეს მხრით, დასავლეთის მოლაპარაკება, დაწყებული ლონდონში, კარგს არაფერს უქადის ლიტვინოვის ძველ და ახალ პაქტებს, რაიცა მოასწავებს ფრონტების გახსნას ყოველ მხრიდან.

ამიტომ სულაც არ გვიკვირს, რომ, შეშინებული გარედან მოწოლილ ღრუბლებით, კონგრესისტები გააფთრებით მოუწოდებდენ ხალხს «სოციალისტურ, უკლასო სამშობლოს» დაცვისაკენ. მაჩანჩალა ფილიპე მახარაძემაც შეიტანა თავისი წვლილი, პირველ თებერვლის «იზვესტიას» მოაქვს მისი სიტყვა და სურათიც. საქართველო ავაშენეთ, ხოლო ამშენებელი იყო და არის გენიოსი სტალინი—ამბობს ის; სტალინის სამშობლო საქართველოა, მაშასადამე, უკანასკნელი დაიჭერს პირველ ადგილს საბჭოთა კავშირშიო—განაგრძობს; ჩვენ მივცემთ გამანადგურებელ ბრძოლას გარეშე მტერთ საერთო უკლასო სამშობლოს დასაცავათო—ათავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერჩეტ ფილიპეს დაკარგვია ზომა, სად იწყება სასაცილო და აქედან საბედისწეროც. ერები, პირველ რიგზე—ქართველი ერი, ეცდებიან დაანგრიონ «სამშობლოდ» წოდებული საერთო საპყრობილე და მის ნანგრევებში ჩაიღუპებიან მახარაძენი და ძმანი მათნი.

საარი და... ქართლის ბრძოლა

საარის პლებისციტი, რომელსაც მოუთმენლად ელოდებოდნენ ყველა სახელმწიფოები, დამთავრდა ისე, როგორც ეს შეეფერებოდა მაღალ კულტურისა და საუცხო ეროვნული შეგნების საარგებიიტის მცხოვრებთ.

ომის «სალიკვიდაციო» აქტთა შორის ეს მოვლენა თავის ობიექტური მნიშვნელობითაცა და ფსიქოლოგიურ განცდითაც გაცილებით აღემატება დანაშთენ სხვა ამგვარ ცდებს, და ამისი მიზეზი, რა თქმა უნდა, არის ის, რომ ამ შემთხვევაში ორჭოფ დიპლომატიას დაუპირისპირდა მკვეთრად აღმოსახული ერთბამი გონება და ნებისყოფა, დაუბრკოლებლად შესრულებული გრძნობათა და იდეათა მანიფესტაცია...

თუ წინა წლებში საარის პლებისციტის საკითხი იდგა საერთაშორისო მიმართებათა სფეროში და თავისთავად არავითარ სიძნელეს არ შეიცავდა, ოღონდ გამარჯვებულთ შეესრულებინათ ვერსალის ხელშეკრულებაში აღნიშნული ვადა,—მდგომარეობა გადაჭრით შეიცვალა ბოლო დროს, როცა ქენევაში მესამე რაიხის ელჩთა წამოაყენეს მოთხოვნა ძალთა პარიტეტისა და საზოგადოთ თანასწორობისა. ერთა ლიგაში მიჰხვდნენ, რომ საბოლოოთ დასრულდა გამარჯვებულთა და ძლეულთა გამყოფი ერთი პერიოდი.

ერთხანად საფრანგეთის საზოგადოებრივი ჰაზრი ისეთს ჭმუნვაში იყო, რომ აქაიქ კიდევაც გაისმოდა სიტყვები გერმანიის წინააღმდეგ ახალ სანქციების შესაძლებლობის შესახებ. ამას ზედ დაერთო თვით გერმანიის საზღვრებიდან ნებსით თუ უნებლიეთ გასულთა გამუდმებული აგიტაცია რეჟიმის წინააღმდეგ. უმეტესი ნაწილი გადმოხვეწილთა, როგორც მოსალოდნელი იყო, მიესია სწორეთ საარს. მთელი კუთხე და განსაკუთრებით ქალაქი საარბრიუკენი შეიქმნა ერთ ვეება ცენტრათ, საიდანაც ძველსა და ახალ ქვეყანას ეფინებოდა ხმები გერმანიაში მძვინვარე უკიდურეს ბარბაროსობაზე; აქაურსავე გაზეთებში იწერებოდა, რომ გერმანია ცინიკურად აღღვევს ვერსალის ტრაქტატს და თავით ფეხამდის შეიარაღებული უცდის მხოლოდ ხელსაყრელ პირობებს «სარევანშოთ»... ყველა ამას მიზნად ედო საარის თუ სრული დამოუკიდებლობა არა, ყოველსშემთხვევაში გადადება მის შეერთებისა გერმანიასთან «სტატუს კვო»-ს შენახვით.

მალე ყველგან გაიგეს, თუ რა წონისა იყო ეს საქმიანობა. ისიც გასაგები გახდა დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელთათვის, რომ რაც უფრო მალე დაუბრუნდებოდა საარის ოლქი გერმანიას, მით უფრო გაადვილდებოდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებანი ევროპაში და შესაძლებელი შეიქმნებოდა გერმანიის დაბრუნება ერთა ლიგაში. საკმარისი იყო ეს მცნება შეეგუებინა საფრანგეთის საზოგადოებრივ ჰაზრსაც, რომ საკითხი გაყინულ წერტილიდან დაძრულიყო და... შედეგიც ჩვენ თვალწინ არის!

საარის რეფერენდუმი ევროპაში მშვიდობიანობის დამკვიდრებისათვის უდიდესი მოვლენაა. კონკრეტიულად: ამ ოლქის მცხოვრებთა გარდაწყვეტილებამ მშვიდობიანობის საქმე ნამდვილ, რეალ ნიადაგზე დააფუძნა ე. ი. ჰქმნა ის, რისთვისაც წელთა მანძილზე უძლური გამოდგა დიპლომატია.

საარს შეეკითხნენ და მანაც გასცა პასუხი—მარტივი, გონიერული, ღირსეული, უმეტესად შეგნებული. საარი გადიხარა აღმოსავლეთისაკენ, შვილი მივიდა დედასთან, ერგანიული ნაწილი შედუღდა მთელთან. საარმა არ მოისურვა «სტატუს კვო», არც საფრანგეთს მიუერთდა: მან აირჩია თავისიანი, რომ გერმანიისა და საფრანგეთის უფსკრულზე ხიდათ გადებულიყო ორივე სახელოვან ერის საკეთილოდ.

ჩვენ—ქართველთათვის—13 იანვარს საარში გამოცხადებული ნებისყოფა აღსავსე არის სხვა მნიშვნელობითა: შესაძლებელია ადამიანი ქართველის სახელს ატარებდეს და მოწოლილ გრძნობათა ღელვა ასცდენოდა, როცა პატარა კუთხეში ერის მსახურების დიადი საქმე სრულდებოდა! თავისუფლებას მოკლებულნი, ჩვენ სურვილებით მივესალმენით თავისუფლება შეძენილ ხალხს! ქართველის გული განცდათა სამყაროს მოეცვა, როცა საარში თვით გამორკვევისა და თვითმყოფობისათვის მიცემული ხმები ითვლებოდა. ვერავინ გაჰბედავდა იქ სიყალბისა თუ მუხანათობის ჩადენას: სამი სახელმწიფოს მხედრობა ფარეშად იდგა, რათა სახალხო სუვერენიტეტი ვიგინდარა ინტრიგანებს არ შეებღალათ. ვხედავდით და ვისმენდით უნახულსა და საოცარ ამბავს და მწარე ღიმილით მოვლენათა პარადოქსებს ვემდურებოდით...

საარის ფენომენმა დაკოდილი გული გაგვილადრა, გაგვიცხოველა გასული დღენი, როცა განირღვნენ აკირული კედლები «თერგდალეულ დარიალისა», როცა მამისონის მწვერვალიდან ჩამოცოცდნენ «მაღრიბის ველური ყაჩაღები»...

იქნებ არც ვიყვნეთ სიმართლესთან შორს მდგარნი, თუ ვფიქრობთ, რომ ისე არ ვუვლიდით ქვეყანას, როგორც ეს საჭირო იყო! შეიძლება ფატალურად ვცდებოდით, როცა დასახმარ საშუალებასა და ძალებს ვეძებდით იქ, სადაც ისტორიულად ვიგემეთ სიმწარე...

თოთხმეტმა წელმა განვლო მას შემდგომ. გადასხვაფერდა დუნია! იცვალნენ დრონი, გარნა არ შეცვლილან იდუმალი, გულთნადები ფიქრნი ქართლისა! არ შენელებულა არც ერთი დღით ბრძოლა ხალხისა, ზრუნვა და გარჯა ქვეყნის ჭირისუფალ მეთაურთა და მოღვაწეთა. დღეს სხვა სახისა შეიქმნა მეთოდი ბრძოლისა, მაგრამ, ვინ იტყვის, რომ 1924 წელი უკანასკნელი სახსარი იყო საქართველოს სახსნე-

ლათ?! საზარალო გამოდგა ჯამი მოთმინების ფიალა ავსებულ ხალხის თავგანწირვისა, მაგრამ დღეს ისინიც ქედს იხრიან ამ საგმირო მოვლენის წინაშე, ვისთვისაც მარიამობის—ენკენისთვის აჯანყებაში დემოგრაფიულ ვარაუდის გარდა არაფერი არსებობს.

დავმარცხდით? მაგრამ რა არის ბრძოლის წაგება, თუ სულით არ დავცემულვართ, თუ გამარჯვების იმედი გვისხივსნებს?! განა ბრძოლა შევწყვიტეთ, განა უთანასწორო ომში დაცემულთა რიგები ახლებმა არ შეავსეს?! მაშ ვის შეუძლიან თავის დახრა, როცა ქართული ბაირაღი ძლევამოსილათ ფრიალებს?

ქართველი არ შედრკა არც იმისა გამო, რომ ბრძოლის მიცემა მარტოხელთ დაგვირჩა, იმ გარემოებამაც არ გაგვიტეხა გული, რომ ევროპამ პილატესამებრ ხელი განიბანა ჩვენს საკითხში იმ ჟამს. ფორმალობამ შთანთქა შინაარსი! იურისპრუდენციამ იმსხვერპლა მორალი! ჟენევის დავთრებში შენახული იქნება ჩვენი მთავრობის შეშფოთებული მიმართვა ერთა ლიგის საბჭოს სახელზე ამხედრებული საქართველოს სახელით. ჩვენ მოვითხოვდით პლებისციტს უმაგალითო პირობით: თუ 10 პროც. ქართველი ხალხის გარანტიული ხმის მიცემით ბოლშევიკების სასარგებლო გამოდგებოდა, ჩვენ ხელს ვიღებდით ბრძოლაზე... ეს ვერ გვეღირსა ფორმალი მოსაზრებით არც რუსეთი, არც საქართველო ერთა ლიგის წევრებათ არ ირიცხებოდნენ (sic!), ხოლო ვალად გვადევს ვთქვათ, რომ ერთა ლიგამ საქართველოს აჯანყება სცნო, ვითარცა ცდა უფლებაყრილ ერისა კანონიურ მდგომარეობის დასაბრუნებლად და სწორეთ ამ ჰაზრისაც იყო ლიგის დავალება თვის საბჭოსადმი რუსეთ-საქართველოს დავისა გამო.

თერთმეტი წლის განმავლობაში ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ ევროპა შესაფერ პირობებში ამა თუ იმ სახით მოაგონებდა რუსეთს მის უმართებულო საქციელს საქართველოსადმი; ვინ მოსთვლის, რამდენი იყო ასეთი შემთხვევები... და აი მოაღწია ჟამმაც, როცა რუსეთმა «იკადრა» ერთა ლიგის წევრობა. ლოდიკა და სამართლიანობაც, ასე მგონია, მოითხოვდნენ, რომ ეხლა მაინც მოჰგონებოდათ «მაუდის ქვეშ» ამოდებული დაპირების საბუთი, მაგრამ მაშინაც არავინ ინდომა უსიამოვნო ინიციატივით მოსკოვის დესპანთა გუნების წახდენა!

სწორეთ ამავე დროს საქართველოს, აზერბაიჯანისა და მთის წარმომადგენლებმა ბრიუსსელში ხელი მოაწერეს კავკასიის კონფედერაციის პაქტზე. ხელშეკრულების ტექსტი ბევრგან გამოქვეყნდა, ზოგგან სარედაქციო კომმენტარიებით. თავის შენიშვნებითვე ეს პაქტი დაბეჭდა ვატიკანის ოფიციალ გაზეთმა «L'Osservatoro Romono»-მ. პაპის ცენტრალი ორგანო აღნიშნავდა, რომ ჟენევაში დაარსდა საგანგებო კომისია საარში მომავალი პლებისციტის შესასწავლათა და ჩასატარებლად და ასე დასძენდა: კავკასიის ხალხები ახალ ღონისძიებას მიჰმართავენ უცხო უღლიდან თავის დასაღწევათ! მამაცი და რაინდი ქართველი ერი შეუწყვეტელად იბრძვის დამოუკიდებლობის აღსადგენათ. რატომ არ ისმენენ ამ კეთილშობილ ერის ხმას? ნუ თუ ის იმისი ლირსი მაინც არ არის, რაიცა ეძლევა საარის მცხოვრებთ?!!

საერთაშორისო დახლართული ვითარება, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ აგვიანებს ქართველი ხალხის პოლიტიკურ იდეალის განაარსების ჟამს, მაგრამ ეს იმისი მაჩვენებელი როდი არის, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილნი «კვიეტიზმს» მივცეთ თავნი ჩვენნი და შორიდან ვუპვრეტდეთ—აცა როდის მოისპობა ქვეყნათ ინტრიგობა და ქიშპობა, რომ ალიონზე გზა გავიგოთ. ეს იქნებოდა—რა მტკიცება უნდა—ნამდვილი თვითმკვლელობა! ჩვენ მიერვე აღმოშლა ჩვენი განთავისუფლების საქმისა საერთაშორისო მნიშვნელობის სარბიელიდან. ერთი-კი ცხადია: საქართველო განთავისუფლდება ქართველთა ცდითა და უნარით. გარეთ უმჯობეს შემთხვევაში იქნებ წავაწყდეთ ბრძოლის გასაადვილებელ მასალას და ისიც იმ შემთხვევაში, უკეთუ მებრძოლი საქართველო მონოლიტური იქნება ნებისყოფითა და პოლიტიკური წარზიდვით. სხვა სიტყვებით: მთელი საქართველო შემტკიცებული უნდა იყოს მტრის წინააღმდეგ! ქართველთა შორის აღმოფხვრილ უნდა იყვნენ დამშლელი ძალები; ვისაც ჰსურს თავისუფალი საქართველო, ისარიც მოსკოვისაკენ უნდა ჰქონდეს მიმიზნებული! სხვაფრივ ფანტვა ენერგიისა ნაცარქექიას ხელობაა... პატრიოტულ ქურქში შეკაზმვა ვერაფერი შვილია, თუ არსებითათ მთელი მოქმედება მტრის წისქვილის ჩარხის ამტრიალებელია.. თოთხმეტი წელიწადი გრძელდება ურთიერთშორის თავაშვებული კრიტიკა, სხვათა ცოდვების აღნუსხვა, საკუთარი თავის აღმაღლება, ტრაბახი და მედიდურობა. საკმარისია ორიოდ ატაცნილ ტვინში რაღაც ჰაზრის მსგავსი რამ შეიპაროს, რომ მყისვე ორგანოც მოგვეევლინოს პროგრამითა და «იდეოლოგიით». გაგონილა სადმე ეს?! პუბლიცისტობა და მწერლობა დღეს ყველას ხელობათ შექმნილა. ოღონდ დამწერს «მოკითხვის ბარათის» შეხინხლის შნო ჰქონდეს... ამ ულაზათო სანახაობამ გადაგვიტანა! აღარც ის გვაკავებს, რომ ზოგჯერ უცხონიც ჰხედავენ იმას, რისი ხილვაც შინაურობაშიაც სათაკილოა და სასირცხვო!

ერთმუჭა კუთხე საარმა დიდი მისაბაძი მაგალითი გადგვიშალა თვალწინ, «დიდაქტიკური» გაკვეთილი მოგვცა, პოლიტიკური ელემენტი განგვიმარტა! თავის ერთსულოვანი გარდაწყვეტილებით საარმა დამტკიცებულათ ნათელჰყო, თუ რასა ჰნიშნავს შეთანხმებულათა და მწყობრათ ამოქმედებული ერი თავშენახვის საკითხში! პატიოსანმა გერმანელმა უყოყმანოთ შეასრულა პატრიოტული მოვალეობა! საარი 95 პროცენტით სამშობლოს ერთგული შვილი გამოდგა. უდიდეს ინდუსტრიის ცენტრში ეროვნულ გრძნობის გამოხატვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ—მუშა, მღვდელი, მოხელე, ინჟერი, ვაჭარი და ბანკირი... «ვინცა სიბიძნითა მეტია, რათ ჰკითხავს, ვინცა რეტია?» ასე იტყვის ძველი ანდაზა!

თებერვლის გლოვის დღეებში ქართველსა ჰმართებს ამ თემაზე ფიქრის შეჩერება...

რ. ინგილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ეკონომიური პერსპექტივები და კონფედერაციის პაქტი

II.

როგორც დავინახეთ წინანდელ წერილში, თანამედროვე სტრუქტურალური ეკონ. კრიზისი და მისგან გამომდინარე ახალი ხაზი ეკონ. განვითარებისა ეხება პირველ რიგში მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნებს. რა პერსპექტივები უდევს წარმოებაში ჩამორჩენილს აგრარულ ქვეყნებს, მათ შორის ჩვენს სამშობლოს და საერთოდ კავკასიას? მისწრაფება ყველა აგრარული ქვეყნებისა ინდუსტრიალიზაციისაკენ ბუნებრივი და სამართლიანია, ვინაიდან მსოფლიო აღებმიცემობის პროცესში დანიშნულება აგრარული სახელმწიფოებისა—ნედლი მასალის მიმწოდებლების—ყოველთვის ნაშნავს სიღატაკეს და მონობას; პირიქით ინდუსტრიალურს ქვეყნებში ყოველთვის მაღალი შტანდარტია ცხოვრების. მაშ მათი (აგრარული ქვეყნების) გზა მიმართულია ინდუსტრიალიზაციისაკენ, მაგრამ ნუ თუ მათ უნდა გაიარონ ყველა საფეხურები ინდუსტრიალური განვითარებისა, რომელიც გაიარეს ძველმა ინდ. სახელმწიფოებმა, განვითარების ყველა ავათმყოფობით, კრიზისებით, ზარალით, გამოცდილების ჯარიმის გადახდით? არა, რა თქმა უნდა. პირიქით, აგრარული ქვეყნების უპირატესობა იმაშია, რომ მათ წინ დგას პრობლემა ინდუსტრიის ორგანიზაციის, უკანასკნელი უმაღლესი ტექნიკის საფუძველზე, შინაური და საერთაშორისო პირობების მიხედვით; ინდუსტრიალური ქვეყნების წინ კი—პრობლემა რეორგანიზაციის, გარდაქმნის, სტრუქტურალური გადაჯგუფების. ეს ნიშნავს მთელი დარგების ლიკვიდაციის, ყოველ შემთხვევაში ძველი, ესე იგი უკანასკნელი გამოგონებით გაბათილებული, ტექნიკური მოწყობილების გადაგდებას, მაშასადამე ეროვნული სიმდიდრის შემცირებას, ახალი დარგის და ახალი მანქანების მოწყობას, ახალი კაპიტალის საჭიროებას. პირველებმა უნდა აშენონ მხოლოდ, მეორებმა კი ჯერ უნდა ბევრი რამე დაარღვიონ, გამოსჭრან ცხოველი ორგანიზმიდან, და მხოლოდ მერე აშენონ.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უპირატესობას, ამის მაჩვენებელია იაპონიის მაგალითი. იაპონია არის მთელ დედამიწაზე ყველაზე უფრო ახალგაზდა ინდუსტრიალური ქვეყანა. ამაშია დიდი ტექნიკური უპირატესობა, რომელსაც იაპონია მოქნილად სარგებლობს. საქმე ისაა, რომ ახალგაზდა ინდუსტრ. ქვეყნის განკარგულებაშია ვეებერთელა, მთელი კაცობრიობის დაგროვილი გამოცდილება; მას თავიდან აცილებული აქვს დიდი ხარჯი კაპიტალის და ენერგიისა, მასთან ერთად ზარალი, დაკავშირებული სწავლასა და ტექნიკურ-ორგანიზაციულ კვლევა-ძიებასთან, უარყოფით გამოცდილებასთან. მას მუქთად უვარდება ხელში მაღალი ტექნიკა, რისთვისაც უმფროს ძმებს დასჭირდათ ასი წლობის ოფლი და ჭაპანწყვეტა. რელატიურად ასეთ ბედნიერ მდგომარეობაში იყვნენ თავის დროზე ბევრი სხვა ინდუსტრიალური ქვეყნები,—გერმანიამ გამოიყენა თავის დროზე საფრანგეთის და ინგლისის გამოცდილება, შეერთებულ შთატებმა—ევროპის, იაპონიამ კი ყველასი ერთად. მერე მისი შემდეგი უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ მას არ აფერხებს საწარმოვო ტრადიციიდან გამომდინარე დაბრკოლებები, მისი კალკულიაცია თავისუფალი და მარტივია იმიტომ, რომ მას არ აწვება ლოდივით ამორტიზაცია ძველი საწარმოვო საშვალების, რომელიც გაბათილა ტექნიკურმა პროგრესმა, ახალმა გამოგონებებმა, რაციონალიზაციამ. მას შეუძლია შეინარჩუნოს დაბალი ხელფასი; ევროპის თვალსაზრისით ეს სოციალური დამპინგია, მუშების გატყავებაა, იაპონელთა დაფასებით კი ეს ასე არ არის იმიტომ, რომ აქ პირველად უდგება მანქანას მუშა, გამოსსული პრიმიტული ეკონ. პირობებიდგან, მისი მოთხოვნილება მინიმალურია, მით უფრო რომ მუშათა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ: 1931 წელს იაპონიას ყავდა 1.660.332 სამრეწველო მუშა, რომლიდგან ზოგიერთ დარგში, მაგალითად ტექსტილში 82,4 პროც. ქალი იყო. იმავე ტექსტილურ დარგში დაწესებულ მუშების ინტერნატებს ევროპიელები უწოდებენ კატორღას, იაპონიაში კი პანსიონატათ მიაჩნიათ და ყოველი მუშა ხელის მიმწოდებელი დედმამა ცდილობს, იქ შეიყვანოს თავის შვილი. გარდა ზემოხსენებული უპირატესობისა,—მთავრობის პირდაპირი ხელგაშლილი დახმარებით, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით და ფართო ელექტრიზაციის გავლენით იაპონიამ შესძლო გასაოცარი სისწრაფით თავის მაღალი ინდუსტრიალიზაცია: 1914 წ. ქონდა 31.717 ქარხანა, 1919 წ. უკვე 43.949 ქარხანა და 1931 წ. 64.436! დღეს იაპონია მაღალი რაციონალიზაციის იშვიათი ქვეყანაა, რომელსაც არ გააჩნია უმუშევარი. მერე მას აქვს ჰარმონიული ეკონომიური სტრუქტურა: ის არის აგრარული ქვეყანა ინტენსიური სამრეწველო სექტორით; ევროპიელი ინდუსტრ. ქვეყნები კი პირიქით უმთავრესად ინდუსტრიალურია, მცირე აგრარული სექტორით.

ასეთივე ჰარმონულად უნდა აშენდეს კავკასიის და მასთან ერთად საქართველოს ეკონომიკა, ბუნებრივი წონასწორობით მიწათმოქმედებას და ინდუსტრიას შორის, ვინაიდან აგრარულ ქვეყნად დარჩენა ნიშნავს სიღატაკეს, ცხოვრების დაბალ შტანდარტს, ცალმხრივი ინდუსტრიალიზაცია კი მონობას, სახიფათო დამოკიდებულობას უცხო ბაზარზე. მაგრამ ჰარმონული ეკონომიკის აშენება, როგორც დაგვანახა ეს განხილულმა ტენდენციებმა, შეიძლება მხოლოდ ფართო, ბუნებრივ მკვიდრ საძირკველზე, რომ შესაძლებელი გახდეს უფრო ფართო მასტაბით შრომის განაწილება, საწარმოვო სპეციალიზაცია, ე. ი. ყველა კუთხეში მაქსიმალური ამუშავება მხოლოდ იმ დარგებისა, რომლისთვის სწორეთ იქ არის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, და ამ ნიადაგზე აღებმიცემობის მოწყობა.

მაგრამ ასეთი, რამოდენიმედ აუტარკიული ერთეულის შექმნა ფართე სპეციალიზაციის მიზნით მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა მაში შემავალი ერები თანასწორნი და სრულუფლებიანები არიან. პირიქით, იქ, სადაც ბრძანებლობს ერთი გაბატონებული ერი, ვიწრო საწარმოვო სპეციალი-

ზაცია ნიშნავს დამორჩილებული ერებისთვის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამონებას, სამუდამოდ მიუედვას დიდი ერის ბედიღბალზე. პირველი მაგალითის გამომხატველია კავკასიის კონფედერაცია, მეორეს კი რუსეთი, შავი და წითელი. წინააღმდეგ ეკონ. მიზანშეწონილების ყველა პრინციპებისა რუსეთმა ხელოვნურად გაყინა კავკასია პრიმიტიული მეურნეობის წერტილზე, მხოლოდ როგორც მისი ფაბრიკატების მომხმარებელი და ნედლი მასალის მიმწოდებელი. ეს პარაზიტული კოლონიალური პოლიტიკა, განსაკუთრებით მისი ტარიფული ნაწილი იყო კავკასიის ბუნებრივი ბაზრისაგან—ევროპის ბაზრისაგან—ხრული ჩამოშორება და მოსკოვზე მიჯაჯვა, ცალმხრივი პირველყოფილი მეურნეობა და ბუნებრივ სიმდიდრეთა რუსის ხაზინის სასარგებლოდ უკიდურესი ექსპლოატაცია. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ მარტო ჭიათურის მარგანეცის ისტორია!

მაგრამ ამნაირი პოლიტიკა უფრო გარკვეულად და მოფიქრებულად არის გატარებული საბჭოთა რუსეთის საქმიანობაში. ამის მაჩვენებელია როგორც დღევანდელი სინამდვილე, ხუთწლედის მიერ შექმნილი, ისე მისი თეორული დასაბუთება. თუ გადავაგდებთ ჩვეულებრივს საააგიტაციო ფრაზეოლოგიას, ეკონ. დედა აზრი ხუთწლედისა პერიფერიების მიმართ გამოიხატება ცენტრალისტურ სპეციალიზაციაში, რუსეთის ფარგლებში. ესაა ცალმხრივი ეკონომ. განვითარება, დამორჩილებული ფუნქციის მიკუთვნება «ოკრაიებისთვის». მაგალითად მთელი ამიერ კავკასია გამოცხადებულია სამიწადმოქმედო დარგში როგორც სპეციალური კულტურის (სამრეწველო მცენარეობის) რაიონი. ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხმა საკვები, საჭმელი მასალის (სიმინდი, ხორბალი და სხვა) მაგივრად უნდა მოიყვანოს «სახელმწიფო» მიწაზე სამრეწველო მცენარეულობა. ეს ნედლი მასალა გლეხმა რუსეთს უნდა მიაწოდოს, მაგივრად კი მიიღებს საჭმელს პურს (ე. ი. უნდა მიიღოს აბსტრაქტულად, ქაღალდზე მაინც).

ასეთნაირი განაწილება მოსკოვისთვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელია. ის კლავს ერთ დაკვრით, ასე ვთქვათ ყველა ყურდღლებს: 1) მაქსიმალურად იყენებს ამ განაპირის იშვიათ ბუნებრივ პირობებს, რომ ნედლი მასალის გარედან შემოტანა არ დასჭირდეს. 2) აფართოებს ბაზარს თავის პურისთვის, 3) ეკონომიურად, ფიქრობს, მაშასადამე პოლიტიკურადაც იმორჩილებს კავკასიის ხალხებს, ვინაიდან ვის პურს სჭამს, იმის სიმღერას იტყვიო, ნათქვამია. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალურ გეგმას და მის ასრულებას, ის უმთავრესად ენუქაა ანდერძად დარჩა. ყველაფერი, რაც გაკეთდა ამ დარგში ხეირიანი, ემსახურება ისევ იმ კოლონიალურ ექსპლოატაციის მიზანს,—ნავთის და მარგანეცის მაქსიმალურს პროდუქციას და ექსპორტს: არის ეს «ზაჰესები», გზები, ახალი ნავთსადენები, თუ რამდენიმე პატარა ქარხნები, რომელთა დანიშნულებაა პირდაპირი თუ არა პირდაპირი სამსახური ამ ორი დარგის, მიწოდება მათთვის ტექნიკური მასალის თუ ყოველ დღიური საჭიროების საქონლების.

ამნაირად არ შეიძლება ლაპარაკი ინდუსტრიალურ აღმშენებლობაზე, რომელსაც ჰქონდეს მიზნათ ადგილობრივი ნედლი მასალის ადგილობრივად გადამუშავება. ამიერ კავკასიის ტრაღიზმი იმაშია, რომ მიუხედავად მოსკოვის სამრეწველო ექსპერიმენტებისა, კავკასია მაინც დარჩა აგრარულ ქვეყნად, მაგრამ უპუროოთ. საბჭოთა რუსეთმა მას გაუნადგურა ორგანულად აშენებული სამიწადმოქმედო სისტემა და მაგივრად აიძულა გადასულიყო სპეციალური კულტურის მეურნეობაზე, რომლის ნაყოფიერება პრობლემატურია. წინეთ ჩამოგვქონდა პური მხოლოდ ქალაქებისთვის, ეხლა გლეხებიც ჩამოტანილი პურით უნდა იკვებებოდენ. ასეთი მდგომარეობა ინგლისსაც უჭირს, ჩვენთვის კი დამღუპველია და სწორეთ ამაშია ჩვენთვის ჯოჯოხეთური შედეგი ხუთწლედისა. ყველა ერის, მით უმეტეს მცირე ეროვნული და ეკონ. ერთეულის თავისუფალი ცხოვრების აუცილებელი პირობაა, რომ თავის მიწაწყალზე მოიპოვოს თავისი მინიმალური საზრდო—საჭმელი. ასეთ სათუთ საგანში დაუშვებელია დამოკიდებულება უცხოეთზე, უცხო ერზე. ეს არ ნიშნავს ტექნიკურ მცენარეების კულტურის უარყოფას, პირიქით მას უნდა დაეთმოს საგრძნობი ადგილი ჩვენს მეურნეობაში, მაგრამ ხორბალის კულტურის გვერდით, არა მის ადგილას, მით უფრო რომ ეს ორი კულტურა სულ სხვადასხვა კლიმატურ ზონებს მოითხოვს—პირველი დაბალს, მეორე კი მაღალს,—და ერთმანეთს არ ეჯახებიან.

ამნაირად მხოლოდ ამიერ-კავკასიის (პრობლემის გასამარტივებლად ჩვენ ქვემორე ეკონ. ანალიზში ვამბობთ მარტო ამიერ-კავკასიაზე, მაგრამ მთიელთა რესპუბლიკის შესვლა ასწევს კონფედერაციის დადებითს მხარეებს, არასოდეს დააფერხებს) ფარგლებში შეიძლება სასარგებლოთ გამოყენება თანამედროვე განვითარების ტენდენციისა ჰარმონული, ზომიერად აუტარკიული სამეურნეო ერთეულის აშენებისთვის, სათანადო შრომის განაწილებით და დარგთა დისლოკაციით. ამისათვის უპირველეს ყოვლისა კლიმატური და გეოლოგიური პირობებია ზედმიწევნით ხელსაყრელი. სწორეთ უმაღლესს სიმდიდრეს და კეთილდღეობის ფაქტორს წარმოადგენს ამიერ-კავკასიისთვის ეს ბუნებრივი სხვადასხვაობა, სიჭრელე, გამომდინარე ორი ზღვის შუა მდებარეობისა და ვერტიკალური ზონალობიდან: 21 პრ. კავკასიის ტერიტორიისა 1800 მეტრიან ზევით დევს ზღვიდან, 35 პრ. არის 600—1800 მ. შუა, მხოლოდ 44 პროცენტია 600 მეტრის დაბლა და აქედან მხოლოდ 30 პრ. წარმოადგენს დაბლობს. ის გარემოება, რომ ამ.-კავკასია მდებარეობს ორ ზღვას შუა და დაცულია კავკასიონის ქედით ჩრდილოეთის ქარებისაგან, უფლებას აძლევს კაცს იფიქროს, რომ ამ.-კავკასია თბილი კლიმატის ქვეყანაა, სინამდვილეში კი აქ ვხდებით სულ მოპირდაპირე კლიმატებს: კონტინენტალურს, მთიურს, ტყიურს, ნოტიოს, სუბტროპიკულს, მედიტერანულს და სხვ. მიწაც ასე სულ სხვადასხვა თვისების და შემადგენლობისაა. ეკონომიური შედეგი და მნიშვნელობა ამისა ცხადია: ფლორის—ფაუნის და ყველა სხვა ბუ-

ნებრივი სიმდიდრის სიჭარელე, მრავალფეროვნება, დისლოკაცია; რაც არ მოეპოვებათ მაგალითად აზერბაიჯანს და სომხეთს, ბლომათ აქვს საქართველოს, ან პირიქით. ამ.-კავკასიის სიმინდის 90 პრ. იძლევა დასავლეთი საქართველო. საზამთრო ხორბლეულობის ქვეყანაა აზერბაიჯანი, საგაზაფხულოს—სომხეთი, და საქართველოს კი შუათანა ადგილი უჭირავს. მაღალხარისხოვანი თამბაქოს 77 პროც. ჩვენში მოდის, ბრინჯი მოყავს მარტო აზერბაიჯანს. ასეთივე დიფერენციაცია, ბუნებრივი განაწილება არის ყველა სხვა დარგებში: მადნეულობასა, ხეობის სიმდიდრესა, პირუტყვის მოშენებასა, ტექნიკურ მცენარეების კულტურაში და სხვა.

დედა-მიწის არც ერთ კუთხეში არ არის ასეთი მოზაიკური ბუნება ასე შედარებით პატარა მანძილზე, მცირე ტერიტორიაზე. მისი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, არა მარტო სილამაზეშია, არამედ ღრმა, განუსაზღვრელი ეკონ. უპირატესობაში. რომ დაახლოებით მაინც გამოვხატოთ ამ ფაქტორის მნიშვნელობა, მივმართავთ დიდი ბრიტანეთის და მისი დომინიონების ეკ. ბლოკის მაგალითს, რასაც ბრიტანეთმა მიაღწია ასეული წლების იმპერიალისტური ცდით, დედამიწის სხვადასხვა დაშორებული ვეებერთელა კუთხების გაერთიანებით,—ამასვე მიაღწევს ამიერ-კავკასია თავის მცირე ტერიტორიაზე, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ ამის ეკონომიური ეფექტი უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი იქნება (ადგილობრივი მასტაბით, რა თქმა უნდა, შედარებით), ვინაიდან ჩვენ არ გვაფერხებს დიდი მანძილის დაბრკოლება, ინტერესთა წინააღმდეგობა; ვართ უშუალო მეზობლები, გვაქვს საერთო ინტერესები და ჰარმონიული ბუნებრივი სტრუქტურა. ეს ბუნებრივი უპირატესობა კონფედერაციის ნიადაგზე გვაძლევს ჩვენ საშვალებას მაქსიმალურად განვავითაროთ ჩვენი პოტენციალური ეკონომ. შესაძლებანი და შევქმნათ ჰარმონიული ეკონომ. ერთეული მისი ორივე ფრთის (აგრარულის და ინდუსტრიალურის) წონასწორობით, დარგთა შინაური ფართო განაწილებით, დიფერენციაციით, როგორც სოფლის მეურნეობაში ისე სამრეწველოში. აგრარულ სფეროში ვ? სხვა და სხვაობის საშვალებას იძლევა ვერტიკალური ზონალობა ამიერ-კავკასიისა: 1) მაღალი ზონა ეკუთვნის პირუტყვის მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ წარმოებას (ხორცი, კარაქი, ყველი, რძე, მატყლი, ტყავი და სხვა). 2) საშუალო ზონა—ხორბალს და სხვა საკვებს მცენარეობას. 3) დაბალი ზონა კი ტექნიკურ კულტურას (ბამბა, ჩაი, თამბაქო, რამი და ბევრი სხვა).

რაც შეეხება ინდუსტრიალიზაციის პერსპექტივებს, მრავალმხრივ შესაძლებლობებს. ეს მოცემულია იმით, რომ ინდუსტრია ემყარება მხოლოდ ადგილობრივს მრავალნაირ ნედლ მასალას და იაფს ენერგეტულ ბაზას. ვასახელებთ ამ. კავკასიის მთავარ ნედლ მასალებს და მრეწველობის საგნებს და ამასთან ერთად უნდა ვიგულისხმოთ სათანადო ინდუსტრიალური დარგი, და მისი ტერიტორიალური განაწილება. დისლოკაცია: 1) ტექსტილი—ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, რამი, კენაფი და ხელოვნური აბრეშუმი; 2) ტექნიკური მცენარეობა—თამბაქო, ვაზი, შაქრის ჭარხალი, ჩაი; 3) აგრარული პროდუქტები—ტყავი, ხორცი, კარაქი და ყველი, ხილეულობა; 4) მრავალნაირი ტყის მასალები; 5) მრავალნაირი მიწის ქვეშ მდებარე სიმდიდრე—ნავთი და მისი პროდუქტები, მარგანეცი, კოკსი, რკინა, სპილენძი და სხვა მადნეულობა და ამასთან დაკავშირებული შავი და ფეროვანი მეტალურგია. ენერგეტული ბაზის მხრით განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკუთვნის წყლის ენერგიას: მთელი ამიერ-კავკასიაში დაახლოებით გამოანგარიშებულია 6 მილიონი ცხენის ძალა, მხოლოდ ეკონომიურად გამოსადეგი კი 3 მილიონი, აქედან ორი მილიონი ეკუთვნის საქართველოს, დანარჩენი ერთი მილიონი სანახევროდ აზერბაიჯანსა და სომხეთს.

შეთანხმებული განვითარება, ინდუსტრიალური და აგრარული, არამც თუ მოცემულია ბუნებრივი ფაქტორების სხვადასხვაობით, არამედ, მასთან ერთად აუცილებელიცაა: მაღალი აგრარული პროდუქცია მოითხოვს მაღალი ინდუსტრიის ქალაქს, მცხოვრებთა კეთილდღეობის მაღალი შტანდარტით; პირიქით, განვითარებულს ინდუსტრიას ზურგს უნდა უმაგრებდეს მდიდარი სოფელი, მაღალი მყიდველობითი ძალით.

მაგრამ თვით ბუნებრივი სტრუქტურის გამო, ასეთი ეკონ. აყვავებას უდევს ერთგვარი საზღვრები—მაქსიმალური და მინიმალური; აყვავება შესაძლებელია მხოლოდ ამიერ-კავკასიის. ან კავკასიის გაერთიანებით, კონფედერაციის სახით მაინც, რათა მთლიანად იქნეს გამოყენებული ხსენებული ბედნიერი დისლოკაცია ბუნებრივ სიმდიდრეთა. მხოლოდ და მხოლოდ კონფედერატული ამიერ-კავკასიის (ან კავკასიის) ფარგლებში ექნება ყველა ზემოდ დასახებულს დარგს უკონკურენციოთ ფართო შინაური ბაზარი.

(დასასრული იქნება)

მ. ე.

კომუნისტები საქართველოში

(ყოფილი კომუნისტის მოგონება)

ეკლექტიზმი.

ბრძოლა რუს ველიკოდერჟავნიკებთან გაიშალა უპირველეს ყოვლისა რკინის გზებზე. ამიერ-კავკასიის რკინის გზების პროფესიონალური კავშირი შეიქმნა ცენტრი ამ ბრძოლისა. 1922 წელში მე ვიყავი ამ.-კავკ. რკ. გზ. პროფ. კავშირ. თავმჯდომარეთ. საქართველოს კომ. პარტ. ცეკამ მხარი დაუჭირა ა.-კ. რკ. გზების პროფკავშირებს და შეებრძოლა ამ.-კავკ. საოლქო პარტიულ კომიტეტს. ჩვენ გვინდოდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა და არა დამოუკიდებლობის «ვიველკა», რომელიც მოსკოველ დამპყრობელებს ესაჭიროებოდა შირმათ. ჩვენ გვინდოდა შეგვექმნა ჩვენი ქართველი ჯარი და რუსის ჯარის გაყვანას არ მოვითხოვდით, მაგრამ ფაქტიურათ ასე გამოდიოდა. ჩვენ გვინდოდა გაგვემაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებია ჩვენი ვალიუტა. ჩვენ გვინდოდა, რომ ქართული ენა საქართველოში ყოფილიყო სახელმწიფო ენათ ფაქტიურათ და არა დეკლარატიულათ, როგორც ის გადააქციეს ჩვენმა დამპყრობელებმა. პასუხად ჩვენი მოთხოვნილებებისა, დაყრდნობილი რუსის ხიშტებზე, მოსკოვის ჩინოვნიკები, ნაციონალიზმის, ბრალს გვდებდენ, ლიკვიდაციას უშვებდენ იმ პატარა სამხედრო-ნაწილებს, რომლებიც დიდი ვაი ვაგლახით ჩვენ შევქმენით, და ცინიკურად აცხადებდენ: «დეე, ქართველმა მუშებმა და გლეხებმა მშვიდობიანად იმუშაონ, მის მაგიერ რომ ტყვილად დრო დაკარგონ სამხედრო სამსახურში. ჩვენი ძმური სახელოვანი რუსის წითელი არმია კი დაიცავს მათ მშვიდობიან შრომასო».

ჩვენი ვალიუტის გამაგრებაზედ ისინი დემაგოგიით გვიპასუხებდენ, რომ ჩვენ ორიენტაციას ვაკეთებთ სტამბოლზე და არა მოსკოვზე, რომ ჩვენ საერთაშორისო რევოლუციის გამცემლები ვართ. საქართველო აავსეს ღირებულება-დაკარგულ რუსის ფულებით და რამდენიმე კვირის განმავლობაში დაცალეს სურსათ-სანოვაგისა და სხვა მასალებისაგან. ამ ნაირად მაგარი ქართული ვალიუტა ხელოვნურათ გაუთანასწორეს ფას-დაკარგულ რუსის ვალიუტას. საბჭოთა სისტემაში ყოველთვის თანასწორობა მიდის ქვევით.

თანასწორობა მათხოვრობაში, სიმშილში და უუფლებობაში. ქართული ენის გასახელმწიფოების მაგიერ, ისინი უსირცხვილოთ იმეორებდენ ყალბ ლოზუნგს: «უნდა შევქნათ კულტურა, ეროვნული ფორმით, ხოლო ინტერნაციონალური შინაარსით». და ფაქტიურათ შემოიღეს რუსული ენა ქართულის მაგიერ რკინის გზებზე, ამკ.-კავ. ფედერიციის გამოცხადებამდე, და ფედერაციის გამოცხადების შემდეგ რუსული ენა შეიქმნა გაბატონებული—სავალდებულო მთელი ფედერაციისათვის. 1922 წელში იყო ასეთი შემთხვევა, როცა შრომის კომისარმა ლ. დუმბაძემ ქართულათ დაწერილი ბარათი გაუგზავნა ამ.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანს მ. ორახელაშვილს. უკანასკნელმა უკან დაუბრუნა მას წერილი და განუმარტა, რომ წერილი უნდა რუსულათ იყოს დაწერილიო. ლ. დუმბაძემ ეს საკითხი დასვა საქ. ცენტრ. კომიტ. სხდომაზე. შემთხვევით ამ სხდომას დაესწრო ა. ი. რიკოვი. ორჯონიკიძემ დიდი ალიაქოთი ატეხა ამ საკითხის ირგვლივ, ის ძალზედ უკმაყოფილო იყო ამ საკითხის დასმით და სულ დასცინოდა ლ. დუმბაძეს, «ნესჩასტნი გრუზინკა, ნე მოჟეშ პისათ პო რუსკი».: ძალიან ღირსშესანიშნავი იყო ა. რიკოვის შეხედულება ამ საკითხზე. მან სიტყვა მოითხოვა და სხვათა შორის განაცხადა: «რა საჭირო იყო რევოლუცია, თუ რუსეთთან ერთად საქართველოც იარსებებსო». ასე ჩქარა. ასე საცოდავი გახდა სახე «დამოუკიდებელი» საქართველოს რესპუბლიკის. როდესაც ჩვენ შევეცადეთ პარტიულ დაწესებულებებიდან მასებში საკითხების გადატანას და იქ დისკუსიის გამართვას, ორჯონიკიძე-მიასნიკოვმა დაინახეს, რომ 90 პროც. პარტიული მასებისა ჩვენ მხარეზეა. ასეთ შემთხვევაში ორჯონიკიძე გამოუძახებდა ტელეფონით ჯარის ნაწილებს, რომლებიც იმავე წუთში იქ გაჩნდებოდენ და წარმოსთქვამდა იმათ წინაშე საზიზღარ სიტყვას. წამოგვისიანებდა ჯარს, ეტყოდა მათ, რომ ჩვენ მათი გარეკა გვინდა საქართველოდან, რომ ჩვენ იმის უნარიც შეგვწევს, რომ მათ დავეცეთ ღამე, განვაიარაღოთ და ამოვხოცოთ. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი დემაგოგია მხეცურ სიძულვილს ბადებდა ქართველთა და რუსებს შორის, და იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც «მოკამათე» რუსის არმიელები იარაღს აჩხარუნებდენ, გვემუქრებოდენ, ხშირად ლახავდენ ჩვენს მომხრეებს და უფრო ხშირად ერეკებოდენ ჩვენს კრებებს. ერთი სიტყვით ახდენდენ ნამდვილ დარბევას.

ამნაირი მეთოდებით ნერგავდა «ინტერნაციონალიზმს» საქართველოში მოსკოვის ცერბერი ორჯონიკიძე. საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებით ამართლებდა ის, უკაცრავათ მოხსენებაა, თავის «სოციალისტურ» მოღვაწეობას. და ამ დროს, ჩვენ, ვინც ბრძოლას ვაწარმოებდით ველიკოდერჟავნიკებთან, ვიყავით ფაქტიურათ საქართველოს მთავრობა.

ორჯონიკიძესთან ერთი მაგარი შეტაკების შემდეგ, ტფილისის აქტივზე, ჩვენ გაუგზავნეთ ლენინს შემდეგი დეპეშა: «ტრებუემ უბრატ სამოდურა-დერჟიმორდუ ორჯონიკიძე, ბოლშე ნე ვ სოსტოიანიი ტერპეტ ევო ხამსტვა. ცეკა გრუზიი».

პასუხათ ჩვენი დეპეშისა მივიღეთ ლენინის დეპეშა: «ვოზმუშჩიონ, ჩტო ტელეგრამუ პრისლალი, მინუია გენსეკა, ტაკე ტონომ. ლენინ».

ლენინის ასეთმა პასუხმა ძალიან დაგვაღონა და საჩქაროთ გავგზავნეთ მოსკოვში დელეგაცია, კ. ციცაძის, ლ. დუმბაძის და მ. ოკუჯავას შემადგენლობით, ლენინისთვის უშუალოთ ასახსნელათ, თუ რა ხდებოდა საქართველოში. ლენინი მაშინ ავად იყო. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენმა დელეგაციამ მოინდომა ლენინის ნახვა სტალინის გარეშე, მაგრამ გამოირკვა, რომ სტალინმა იმ დროისთვის უკვე შესძლო არამც თუ ავადმყოფი ლენინის თავის კონტროლის ქვეშ აყვანა, არამედ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მის გარეშე ლენინთან შეხვედრა შეუძლებელი ხდებოდა. ბევრი ცდის შემდეგ დელეგატებმა მოახერხეს კრუპსკაიას ნახვა და გადასცეს მას ყოველივე. კრუპსკაიამ ყოველთვის კარგათ იცოდა ლენინის მიწერ-მოწერა და ნამეტურ მაშინ, როდესაც ლენინი ავად იყო. როდესაც ჩვენი წარმომადგენლებისაგან გაიგო, ჩემ მიერ ზემოდ ნაჩვენებ ორ დეპეშაზედ, გაკვირდა და თქვა, რომ ლენინს არც მიუღია პირველი დეპეშა და არც გაუგზავნია მეორე. კომენტარიები ზედმეტი იყო. ცხადი გახდა, რომ სტალინის კონტროლს ქვეშ იყო არამც თუ ლენინთან მისვლა, არამედ მას მკაცრ კონტროლს ქვეშ ჰქონდა. უკვე მთელი ლენინის ფოსტა, მისგან გასული და მასთან შემოსული ქაღალდების. და გვიან მთლად დარწმუნდენ ლენინთან ლაპარაკის დროს, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილი დეპეშა ლენინს არ მიუღია და ის გადაჭერილი იყო სტალინის მიერ და პასუხიც სტალინმა შეადგინა და ლენინის ხელმოწერით გამოგზავნა, როგორც მკითხველი დაინახავს. სტალინმა კარგათ იცოდა ლენინის ავადმყოფობის სერიოზულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა და უკვე 1922 წლის ბოლოში უცერემონიოთ ჩაიდინა სიყალბე. სიყალბის და პროვოკაციის სფეროში სტალინს პროფესიონალათ სთვლიან. ლენინი გრძნობდა თავს ცუდათ, მაგრამ ჩვენი წარმომადგენლები კარგათ მიიღო, დიდი ინტერესით მოუსმინა მათ, აძლევდა შეკითხვებს სხვადასხვა წვრილმან საკითხებზედაც კი. ხოლო როგგორც ჩვენებმა შენიშნეს, ამ.-კავ. ფედერაციის ავტორი ლენინი იყო. ბოლოს ლენინი დაჰპირდა სრულ დახმარებას სტალინ-დზერჟინსკი-ორჯონიკიძის წინააღმდეგ ბრძოლაში. უკანასკნელზე (ორჯონიკიძეზე) სთქვა, რომ ის იქნება პარტიიდან გამორიცხული «ზა რუკოპრიკლადსტვო, კოტოროე ვოშლო ვ ეგო პრაკტიკუ».

ლენინი დაჰპირდა, რომ ის ამზადებს მასალებს ყრილობისთვის, სადაც გამოვა ქართულ საკითხზე და სტალინ-დზერჟინსკის სრულ დისკვალიფიკაციას მოახდენს. აქვე დაუმატა: «ნეტ ხუეე ხრისტიანინა, ჩემ კრეშჩიონი ევრეი ი სამი ველიკოდერჟავნიკ ბივაეტ ინოროდეც, სდელავშიისა ველიკოდერჟავნიკომ», და დაასახელა სტალინი,—დზერჟინსკი-ორჯონიკიძე. ლენინი ემზადებოდა ყრილობისთვის, მაგრამ ამინდი სტალინისთვის მუშაობდა. ლენინი თანდათან უარესად ხდებოდა და ყრილობამ ჩაიარა უმისოთ. სტალინის აღვირი თანდათან იჭიმებოდა პარტიაში, სანამდი აღვირი მუნდშტუკათ არ გადაიქცა. 1922 წლის ზაფხულზე პოლიტბიუროში იდგა საქართველოს საკითხი. ლენინმა ვერ შესძლო მიეღო მონაწილეობა პოლიტბიუროს სხდომაზე, რადგან, ისედაც შეუძლებლობის გარდა, კბილები სტკივოდა. საქართველოს საკითხი პოლიტბიუროში გადასწყდა სტალინის გემოზე. მეორე დღეს ლენინი სწერდა ჩვენ წარმომადგენელს: «კ სოჟალენიუ ვჩერა ნე მოგ უჩასტვოვატ ვ ზასედანიი პოლიტბიურო, პო გრუზინსკომუ ვოპროსუ, იზ ზა ბოლეზნი ზუბოვ. ვ რეშენიი პოლიტბიურო ოპიატ დოპუშჩენა ვოპიუშჩაია გრუბაია ნელოიალნოსტ კ გრუზიი ი კ გრუზინსკიმ ტოვარიშჩამ, კაკ ტოლკო პოპრავლიუს, ვსემი სვაიმი ზდოროვიმი ზუბამი პერეგრიზუ გორლო ველიკოდერჟავნიკამ იზ პოლიტბიურო».

1922 წლის დეკემბერში ლენინი იწერებოდა ტფილისში: «ტ. ტ. მახარაძეზე, მდივანი ი დრუგიმ. დოროგიე ტოვარიშჩი! სბოლშიმ ვოლნენიემ სლეუ ზა ვაშეი ბორბოი, დუშოი ს ვამი, გოტოვლიუ პო ვაშემუ ვოპროსუ მატერიალი კ სიეზდუ. ეელაიუ ვამ პოლნოგო უსპეხა. ვაშ ლენინ».

ერთი წლის შემდეგ ლენინი გარდაიცვალა. თავის ანდერძში ის უწოდებდა სტალინს უხეშს და არა ლოიალურს, ძალაუფლების ბოროტათ გამოყენებელს. ის ურჩევდა პარტიას. რომ სტალინი მდივნობიდან მოეხსნათ და აფრთხილებდა, რომ სტალინის ამ ადგილას დატოვება სახიფათოა. ის პარტიას დაანგრევს და გათიშავსო. ორჯონიკიძის პარტიიდან გამორიცხვას მოითხოვდა. სტალინმა მუხანათურათ დაარღვია ლენინის ანდერძი, გახდა ნამდვილი თვითმპყრობელი არამც თუ პარტიაში, არამედ მთელ სახელმწიფოში, ორჯონიკიძე გაიხადა თავისი მარჯვენა ხელად და იმათ ერთათ კიდევაც დაანგრიეს და გათიშეს პარტია, სულ დაასამარეს

რევოლიუცია და შექმნეს ისტორიაში ჯერ გაუგონარი ტერორი და სიმშილი. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ მე სრულიათ შორს ვარ იმ აზრისაგან, ვითომ ლენინს აწუხებდა საქართველოს საკითხი. საქართველოში რაც ხდებოდა, ეს სრულიათ ლოდიკური იყო საბჭოთა წვობილებისთვის და როგორც ასეთს, არ შეეძლო შეეწუხებია ლენინი. ამის მაგალითი ბევრია და ასევე ხდებოდა სხვა «გასაბჭოებულ» რესპუბლიკებშიაც. საქმე აქ საქართველოში როდი იყო. აქ იყო საქმე შემდეგში. ლენინი ისეთ ნაირად გახდა ავათ, რომ სტალინისთვის ცხადი იყო, ის არ მორჩებოდა. ლენინი განწირული იყო. სტალინმა, როგორც უხეშმა კაცმა, უცებ შეაქცია ზურგი ლენინს და შეუდგა აპარატში თავის პოზიციების გამაგრებას და ტროცკის წინააღმდეგ ინტრიგებს. ლენინი სულ რამდენიმე თვის ავად მყოფი იყო, როცა სტალინმა კრუპსკაიას უთხრა, რომ მათ დიდი ბინა უკაყიათ და ნაწილი უნდა გაათავისუფლოთო, კრემლში ბინების ფართობის კრიზისი არისო, ამას გარდა მრავალი უხეში შეტაკება მოუვიდა მას კრუპსკაიასთან. როცა ლენინი დროგამოშვებით კარგათ ხდებოდა და ცოლმა უამბო მას სტალინის სიტლანქეზე, ლენინი გაბრაზდა და წერილი გაუგზავნა სტალინს: «ვწყვეტ თქვენთან პირად მეგობრობასო» და თან ტროცკის დახმარება მოინდომა სტალინის წინააღმდეგ. ხოლო ბრძოლის მიცემა მოინდომა საქართველოს საკითხზე, ვითომ სტალინი ეროვნულ პოლიტიკას აბრუნდებდა. ამნაირად საქართველოს საკითხი ფრაქციულ ინტრიგებისთვის უნდოდათ გამოეყენებიათ ლენინსა და ტროცკისაც. ჩვენში ბევრი გულუბრყვილოთ ჰფიქრობდა, რომ ლენინი და ტროცკიც ჩვენი «ფალავანდები» იყვნენ. ეს სრულიათ გადამცდარი აზრია.

რუსეთის პროფკავშირების მეხუთე ყრილობა მოხდა მოსკოვში 1922 წლის მიწურულს. მაშინ საბჭოთა კავშირი არ არსებობდა და რ. ს. ფ. ს. რ-ის ცენტრალური პროფესიონალური კავშირები იწვევდა ყრილობას «ძმური» რესპუბლიკების «მოპატიქებით». მეხუთე ყრილობაზე ერთ საკითხთაგანი იყო ყველა საბჭოთა რესპუბლიკების პროფკავშირების პროფინტერნში შესვლა რ. ს. ფ. ს. რ-ის პროფკავშირების მეშვეობით. გარეშე ამისა ლაპარაკი არ შეიძლებოდა. იმ დროს ამ.-კავ. რესპუბლიკების პროფკავშირები გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდენ რუსეთის პროფკავშირების ამ.-კავ. ბიუროს წინააღმდეგ. უკანასკნელს ხელმძღვანელობდენ ტომსკის და ლოზოვსკის «პოდრუჩნები» გინზბურგი და გაუსმანი. ეს ბიუროკრატული დაწესებულება ისეთ უსირცხვილო მუშაობას ეწეოდა რესპუბლიკების პროფკავშირების მიმართ და იმ ზომაზე აიმხედრა თავის წინააღმდეგ ყველა კავშირები, რომ მისი ხელმძღვანელები, გინსბურგი და გაუსმანი, დემონსტრატულათ არ გაიყვანეს არც ერთ რესპუბლიკანურ ყრილობაზე, მეხუთე ყრილობის დელეგატებათ. საქმე იმაშია, რომ ამ. კავკ. რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დროს, 1917-1920 წ.წ., სოციალდემოკრატები, დაშნაკელები და მუსავატელები პროფკავშირებს აძლევდენ დიდს სარბიელს თავის მოქმედებისთვის. მოს-

ოველი ბიუროკრატები კი პირიქით ჰკლავდენ ყოველსავე ინიციატივას, თვითმოქმედებას და მოითხოვდენ «კაზიონი» ინსტრუქციებით მუშაობას.

ჩვენ, საქ. დელეგაციამ, დავაყენეთ კითხვა საქართველოს პროფესიონალური კავშირების პროფინტერნში უშუალოთ შესვლისა. ჩვენ შემოგვიერთდენ სომხეთის და ადერბაიჯანის დელეგაციები. გადავწყვიტეთ, რომ ამ.-კავკ. დელეგაცია ერთი მთლიანი ფრონტით გამოვა მეხუთე ყრილობაზე და მოითხოვს პროფინტერნში უშუალოთ შესვლას. მოტივათ ჩვენი ასეთი გამოსვლისთვის ვასახელებდით იმ მდგომარეობას, რომ ამ.-კავკ. რესპუბლიკები ფორმალურათ რ. ს. ფ. ს. რ-ში არ შედიან, დამოუკიდებლებია და დამოუკიდებლადვე უნდა შევიდენ პროფინტერნში. ასეთმა ჩვენმა გამოსვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობაზე, როგორც გამსქდარმა ყუმბარამ. გამოგვიჩნდა ბევრი თანამგრძნობი: უკრაინელები, ბელორუსები, კარელები, თურქესტანელები და სხვები. ვ. ც. ს. პ. ს-ის ხელმძღვანელები ტომსკი და ლაზოვსკი დაფთხენ. გამოილაშქრეს დემაგოგიური სიტყვებით, რომ ჩვენ საერთო ფრონტის დამრღვევების როლში გამოვდივართ და ვმუშაობთ მენშევიკების და სინდიკალისტების სასარგებლოთ. მოგვაყარეს ბრალდებები, რომ ჩვენ არ ვაძლევთ მუშაობის საშვალებას ამ.-კავ. ბიუროს ჩვენ უპასუხეთ, რომ დამოუკიდებელი შესვლა პროფინტერნში ჯერ კიდევ არ ნიშნავს საერთო ფრონტის დარღვევას, დამოუკიდებლათ შესულებს, თვით პროფინტერნში შეგვიძლია საერთო ფრონტის შექმნა. ჩვენ ხაზი გაუსვით იმასაც, რომ ა.-კავ. ბიურო სრულიათ ზედმეტი და მავნე დაწესებულებაა პროფესიონალური მოძრაობისთვის და მოვითხოვდით იმის ლიკვიდაციას. მისი უავტორიტეტობის დასამტკიცებლათ მოვიყვანეთ მაგალითი, თუ როგორ გააშავეს ყველა ამ. კავ. ყრილობებზე მისი ხელმძღვანელები, გინსბურგი და გაუსმანი და მივაქციეთ ყრილობის ყურადღება იმაზე, რომ ამ ვაეგბატონებს ყრილობაზედ სტუმრების ადგილი უკავიათ. პასუხათ ტომსკიმ ამოიღო ჯიბიდან სასტუმრო მანდატი და განაცხადა, რომ მასაც არა აქვს ყრილობაზე დელეგატის მანდატი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორიტეტი არა აქვს პროფკავშირებში. მე ვუპასუხე, რომ არასოდეს არ მეპარებოდა იმაში ეჭვი, რომ ტომსკი არის კომისარი პროფმოძრაობის და არა ბელადი. საქმე გართულდა იმ ზომამდე, რომ ტომსკიმ შესწყვიტა ყრილობის სხდომა და გამოუძახა კუიბიშევს ცეკიდან. მოაწყვეს ფრაქციის სხდომა და მიგვიწვიეს ჩვენ «ზაჩინშჩიკები». კუიბიშევმა მოგვისმინა, თავისი აზრი არ გამოთქვა (უქონლობის გამო) და დაგვპირდა საღამოს მოვალო. საღამოს კუიბიშევმა სტალინის სახელით გადმოგვცა «ზაჩინშჩიკებს», რომ დაუყონებლივ დაგვეტოვებია «დამოუკიდებლობის» ლაპარაკი და ყრილობაზე გამოვსულიყავით «საერთო ფრონტის» სასარგებლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვემუქრენ პარტიიდან გაძევებას. საზღვარი, დადებული სტალინის მიერ, არ გვაძლევდა მანევრების საშვალებას, ჩვენ იძულებული გავხდით დავთანხმებულიყავით, მაგრამ გათახსირებას ადგილი არ ჰქონია, მაშინ ეს შესაძლებელი იყო. მიშინ სტალინის მუხრუჭები არ იყო ისე მაგრათ მოჭერილი როგორც ამას აქვს ადგილი დღეს. შედეგათ ჩვენი გამოსვლისა მეხუთე ყრილობაზე, ყველა ამ. კავ. რესპუბლიკების კავშირები «განაახლეს» და ოდნავ თავისუფალ მოაზროვნე მომუშავების მაგიერ დანიშნეს ყურმოჭრილი ჩინოვნიკები და უფრო გააძლიერეს ამ.-კავ. ბიურო, მოსკოვის ფილიალი.

კირილე კაკაბაძე.

წყნარ ოკეანეს პრობლემა

V.

იაპონიის მთავარი წარმოება, ტექსტილური ინდუსტრია, განსაკუთრებით მოღონიერდა დიდი ომის შემდეგ. დიდ ომამდე ინგლისის კოლონიებს მოდიოდა თითქმის მხოლოდ ინგლისის ტექსტილური ნაწარმოები. 1913 წელს ამ უკანასკნელის შემოტანა ინგლისიდან ბრიტანეთის ინდოეთში უდრიდა 97,1 პროცენტს, იაპონიის კი მხოლოდ 0,3 პროც. 1932 წ. კი ინგლისის შემოტანა შეადგენდა 48,7 პრ., იაპონიის კი 47,3 პრ., სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, იაპონიის შემოტანა ინდოეთში თითქმის გაუთანასწორდა ინგლისისას.

მაგრამ არა მარტო იაპონიის ტექსტილურ ნაწარმოებმა მოიპოვა უცხო ბაზარზე ფართე გასავალი. მთელი დასავლეთი აზია და აღმოსავლეთი აფრიკა მექანიურ ნაწარმოებს, ავეჯეულობას, კონსერვებს და სხ. თითქმის მხოლოდ იაპონიისაგან ყიდულობს.

ინგლისმა შესწყვიტა რა იაპონიასთან სავაჭრო ხელშეკრულება, გადასწყვიტა მის წინააღმდეგ საბაჟო ბრძოლის გამოყენება. იაპონიის ტექსტილურ საქონელზე ბრიტანეთის ინდოეთში საბაჟო გადასახადი გადიდებულ იქნა 75 პრ-ით, სხვა საქონელზე კი —25 პრ-ით. ეგვიპტეშიც საბაჟო გადასახადი იაპონიის საქონელზე 35 პრ-მდე ავიდა.

ყველა ამ ზომების შემდეგ, უკანასკნელ წლებში დაიწყო კატასტროფული დაცემა იაპონიის ექსპორტის. იაპონიის ექსპორტი დაეცა აზიის ქვეყნებში, ევროპაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში. აზიაში იაპონიის ექსპორტი 1919 წ. 955 მილიონ იენს უდრიდა, 1932 წელს ეს ექსპორტი 278 მილიონ იენამდე დაეცა. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში 1925 წ. იაპონიის გატანა ერთ მილიარდ იენს აღემატებოდა, 1932 წელს 472 მილიონ იენამდე შემცირდა. ევროპაში კი იაპონიის ექსპორტი 1919 წლიდან განახევრდა. საერთოდ კი მთელი მისი ექსპორტი, რომელიც 1929 წელს 2,1 მილიარდ იენს უდრიდა, 1933 წელს 1,4 მილიარდ იენამდე დაეცა.

რასაკვირველია იაპონიის აღებ-მიცემობის ასეთი შემცირება უცხოელ ბაზარზე არ მიეწერება მარტო იმ რეპრესიებს, რომელიც იაპონიის წინააღმდეგ იქნა მიღებული, აქ დიდი როლი ითამაშა საერთო კრიზისმა, რომელიც აგერ ექვსი წელიწადია რაც მთელ დედა მიწის ზურგზე მძვინვარებს, მაგრამ უდავოა, იაპონიის წინააღმდეგ მიმართულმა რეპრესიე-

ბმა მისი ექსპორტის დაცემაში მთავარი როლი ითამაშა.

ცხადია იაპონიისთვის ომი ნაკლები უბედურებაა და იმდენ ზიანს ვერ მოუტანს, როგორც მისი აზიის მატერიკიდან გადაგდება, მისი ისევ ღარიბ კუნძულებზე ბოკცევა, რომელნიც ნახევარი საუკუნის წინ 30 მილიონ მცხოვრებთაც ვერ იტევდა და ვერ კვებავდა, და მისი სააღებ-მიცემო ექსპანსიის შენელება.

იაპონიის ფლოტი ჯერ კიდევ თავისუფლად თავს გრძნობს წყნარ ოკეანეს დასავლეთ ბასეინის ოთხ რაიონში: ოხოტის, იაპონიის, ყვითელ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებში. შანხაიზეც—სასვბო—იაპონიის მთავარი სამხედრო ბაზა ბატონობს. ხოლო მის ფლოტს ფრთები შეუკვეცეს, თავისუფალ მიმოსვლის საშუალებას მოკლებულია სამხრეთ ჩინეთის ზღვიდან დაწყებულ რაიონებში. ამერიკას—ფილიპინის კუნძულებმა—სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე დირიჟორის ჯოხი ხელთ მისცა. დიდი ბრიტანეთი—სინგაპურის წყალობით—მეფობს შორეულ აღმოსავლეთის მთავარ საზღვაო, დასავლეთის ბაზრებთან შემაერთებელ გზებზე.

შეერთებულ შტატებმა, ფლოტისთვის ძლიერი ბაზის შესაქმნელად, ჩრდილოეთიდანაც მოუარა იაპონიას. ეს რამოდენიმე წელია, რაც ის შეუდგა ნიადაგის მზადებას. ორი სამხედრო ნავთსადგურის შესაქმნელად: ერთი ალიასკას ნახევარ კუნძულზე და მეორე უნალიასკას კუნძულებზე (ალეუტის არქიპელაგია). საბჭოთა რუსეთიც ხელს უწყობს და აქეზებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ ამ უკანასკნელმა გამოიყენოს ალეუტის კუნძულების სიახლოვე იაპონიასთან.

ამ რიგათ, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები თანდათან უახლოვდება იაპონიის კუნძულების აზიის მატერიკთან შემაერთებელ ძაფს—იაპონიის ზღვას, რომ ეს უკანასკნელი ხელთ იგდოს; იაპონია, აზიის მატერიკს, ამ თავის ეკონომიურ ბაზას მოსწყვიტოს. ამის განხორციელება კი, შეერთებულ შტატების წყნარ ოკეანეზე სრულ გაბატონებას ნიშნავს.

ეკონომიურ ბაზას მოწყვეტილ იაპონიას, არა თუ ომის წარმოება, არ შეუძლია ცხოვრებაც. ამით აიხსნება ის, რომ როგორც დიდი ომი გათავდა და როგორც კი ამერიკამ დაიწყო მზადება ჩრდილოეთში ბაზების შესაქმნელათ, იაპონიამ განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის საზღვრებზე ნავთსადგურების აშენებას მიაქცია. მან სამი უზარმაზარი ნავთსადგური—იუკი, სეისინი და იასინი—ააშენა. ამ ნავთსადგურების აშენებას მიზნათ აქვს იაპონიის ფეხის მოკიდება მანჯურიაში.

ფილიპინის კუნძულების დაპყრობით, ფორმოზას, როგორც იაპონიისთვის საექსპანსიო ბაზას, თუ მთლიანი მნიშვნელობა არ დაეკარგა, ყოველ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა შემცირდა და სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები სრული ბატონი შეიქნა.

იაპონიას დავიწყებული არ ჰქონდა, რომ მის ჯიბეში ვერსალმა დიდძალ კუნძულებზე მანდატები ჩააწყო, იმ კუნძულებზე, რომელნიც შედიან მარიანის, კაროლინის და მარშალის არქიპელაგთა შემადგენლობაში და რომელთა სტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებულია. ეს კუნძულები ფილიპინის კუნძულების ზურგსაა შეჩერებული. ზოგ ამ კუნძულზე იაპონიამ საავიაციო ბაზები მოაწყო. საიპანის, ტინიანის და როტას კუნძულებზე საზღვაო ბაზები ააგო. ამავე დროს იაპონია აძლიერებს პოლიტიკურ და ეკონომიურ გავლენას თვით ფილიპინის კუნძულებზე. აქ ეწყობა იაპონიის კოლონიები.

სამანდატო კუნძულებზე საავიაციო და საზღვაო ბაზების მოწყობა და ფილიპინის კუნძულებზე იაპონიის მიერ ფეხის მოკიდება ხელს უწყობს სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე ამერიკის შეერთებულ შტატების სადირიჟორო ხელის შესუსტებას. აქ შექმნილი მდგომარეობა ჩინეთსაც ახალ პერსპექტივებს უსახავს. ამ ზღვაში თავისუფლად გასვლის უფლება მოკლებულისთვის, შორიდან მოსჩანს იმედები სხვათა ყმობისგან განთავისუფლებისა.

ი. სალაყაია.

ᲞᲠᲔᲡᲐ

«კავკაზი» თავის იანვრის ნომერში უძღვნის ჩვენს მეთაურს, მის შეუფერებელ კამპანიის გამო, ორ წერილს, თითქო ერთი და იმავე ავტორისა, რადგან ერთი მეორის განმეორებაა და, რაც უარესია—ერთი მეორეზე უსაფუძვლო. ის სჩივის, რაღა ჩემთვის მოიცალეთ და ამდენი ქართული გაზეთი უყურადღებოთ დასტოვეთო. ამ შენიშვნას ჩვენ ვღებულობთ იმ დამატებით, რომ შევცდით. ძალიან შევცდით, როცა მისთვის, «კავკაზი» სთვის, მოვიცალეთ. თუ არა გჯერათ, აი საბუთები.

«განსაკუთრებულ დანაშაულად იმას გვითვლიან, რომ ჩვენი ყურნალი რუსულ ენაზე გამოდისო»—ამბობენ ორივე წერილის ავტორნი. ჩვენ მზგავსი არაფერი გვითქვამს. ვუსაყვედურებდით არა რუსულათ წერას, არამედ ამ ენაზე, ე. ი. მტრის გასაგონათ და აქედან გამოსაყენებლათ. კავკასიელთა შინაურ დავის გამომზეურებას და მერმე ისე მრუდეთ და მახინჯათ, თითქო «კავკაზს» მიზნად დაესახოს, რაც შეიძლება მეტი ვნება მიაყენოს კავკასიის საქმეს. ჩვენ არც ის გვითქვამს, რომ «კავკაზის» რედაქტორს «უფლება არა აქვს შეეხოს კავკასიის თუ კერძოთ საქართველოს საქმეებს», როგორც ამას გვაწერს ჩვენი რაინდი თანამემამულე. ჩვენ აღვნიშნავდით მხოლოდ, რომ დღემდის ჩვეულებად არ გვქონებია მეზობელთა შორის ერთი მეორეზე გალაშქრება, ლანძღვა-თრევა, რომ ასეთი წესი გაერთიანების მაგივრ დანგრევას უქადის კავკასიას.

«კავკაზის» პოლემისტები უკმაყოფილო არიან, რომ ჩვენი მეთაური ხელმოუწერელია და ერთი მათგანი ასეთ სიყალბეს ამბობს: «დამოუკიდებელ საქართველოს ხელმძღვანელობს ა. ი. ჩხენკელიო». ეს ალბათ პასუხია ჩვენ შენიშვნაზე, რომ «კავკაზის» რედაქტორმა, ჩხენკელის დაუკითხავათ, გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც ის გადიოდა «სამ-

თა საბჭოდან». ალბათ თუ ჰგონია მას, რომ ერთს უტაქტობას მეორეს თუ დაუმატებს, ჯამში ნამდვილ თავაზიანობას მიიღებს! მაგრამ ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, რომ მას სწორათ გადაუთარგმნეს ჩვენი მეთაური, რომლისათვის, მის ავტორის გარდა, პასუხისმგებელია მთელი შემადგენლობა სარედაქციო კოლეგიისა. მეთაურიდან, მაგ., მას მოაქვს ერთი ადგილი, სადაც კავკასიას ამიერ-კავკასიად სთარგმნის და თვითონვე სვამს გაკვირვებითს ნიშანს! ის კვირობს იმასაც, რომ სომხებს ასე პატარა ადგილს უთმობს მეთაური და არ იცის—ქართველებს არ უთქვამთ—, რომ პაქტს განსაკუთრებული მეთაური უძღვნა ჩვენმა გაზეთმა კიდევ შარშან ივლისში და სომხებზე უფრო ვრცლათ იქ ილაპარაკა. რამდენი დაიწერა ამავე თემაზე ჩვენს გაზეთში, ხოლო «კავკაზის» რედაქტორისთვის საიდუმლოებად დარჩენილი!

«კავკაზს» ხაზგასმით მოაქვს ჩვენი მეთაურის ის ადგილი, სადაც ვამბობთ, რომ მისი რედაქტორი მართლა მოითხოვდა კონფედერაციას კიდევ 1918 წ. დასაწყისიდან; მაგრამ სრულიად უყურადღებოთ სტოვებს, რას ვშვრებოდით ქართველები მაშინ და მასზე ადრე. მეთაური სწორეთ ამ კითხვას უთმობს უმთავრეს ადგილს, ეგ იყო, თუ გნებავთ, მისი ღერძი. რას ამბობდა მეთაური? მაშინ როდესაც «კავკაზის» რედაქტორი ნოტებით იცავდა კონფედერაციას, ქართველები, განურჩევლათ პარტიისა, საქმით ანხორციელებდენ მას. მოტანილია მთელი რიგი ფაქტებისა ამის დასამტკიცებლათ. რას ამბობს «კავკაზი», უარყოფს ამ ფაქტებს, მოაქვს სხვა ფაქტები? არა, სრულიად არა! ის იმაზეც არ გვიპასუხებს, რად იყო ბ. რედაქტორი გაზაფხულს 1918 წ. ტფილისში? როგორ შეიძლებოდა იმ დროს ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციაში შესვლა? შეიძლება აქაც ქართველ მთარგმნელებმა უმუხთლეს! ჩვენ ბოლომდის ლოიალური გვინდა დავრჩეთ, გვსურს თავი გაიმართლოს, თუმცა, დაიჯერეთ, ზოგიერთ ქართველის სიყალბეც არ გვიამება.

ამ რიგათ, მეთაურის უმნიშვნელოვანესი ადგილები უპასუხოთ დასტოვეს, ხოლო რაც «კავკაზის» რედაქტორზე ვთქვით, «გატყდომად» ჩამოგვართვეს. ამაზე იტყვიან «ჩემი შენ გითხარი...» თურმე ჩვენ «გავმტყდარვართ» იმაშიც, რომ პაქტზედ სომხებს არ უწერიათ ხელი, რომ განსვენებული თოფჩიბაში სწუხდა პაქტს რად არ მიეკედლენ ყველა აზერბაიჯანლები და მთიელებიო, რომ მეთაური მოუწოდებს კავკასიელთ გაერთიანებისაკენო. რა სურდათ ამით ეთქვათ, ჩვენთვის მიუწდომელია. იქნება ის, რომ ჩვენ, ქართველები, პასუხის მგებელი ვართ იმაში, რომ მეზობელ მოღვაწეთა შორის სამწუხარო უთანხმოება სუფევს? ჩვენ აღვნიშნეთ ხალასი ფაქტები, მაგრამ თავს ნება არ მივეცით მსაჯულის როლი გვეკისრნა, არ მივბაძეთ «კავკაზს» და არც ეხლა მივბაძავთ. ჩვენ ვფიქრობთ, თვითეულმა ერმა თავისი შინაური შუღლი თვითონ უნდა დააშოშმინოს, მეორე ერის შვილს აქ ხელი არა აქვს, ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, რა სახითაც ამას «კავკაზი» სჩადის.

ჩვენ, ქართველები, არ ვიწვევთ ნადებს მეზობლებისგან ჩვენს გამდგარებთან სადაოთ, ეს არ გვეჭვირება. რაინდი, რომელიც ზევით ვახსენეთ, მართალია, «პირფერობას და მანჭვას» გვწამებს, მიუხედავათ იმისა, რომ ბ. რედაქტორის ჩვენებით, თითქო იცის ვისზეა ლაპარაკი. მას ალბათ ავიწყდება, რომ ჩვენს დროში ღირსება მარტო შთამომავლობითი როდია, არამედ კეთილ-შეძენილიც. კალამი შეიძლება მარჯვეთაც აწრიპინო, მაგრამ მას თუ ჯკუაც არ მიაყოლე, ჩირადაც არ ღირს.

ჩვენ ვათავებთ ამ შენიშვნას იმავე მოწოდებით, რაც მეთაურში იყო: კავკასიელნო, მოდით დავივიწყოთ რაც გვანსხვავებს—ეგ ხომ პირადი ამბიციებია, სხვა არაფერი!—და გავიხსენოთ რაც გვაერთებს: ჩვენი ერთა უბედური ბედი, მათი შეუდრეკელი ბრძოლა საერთო მტერთან, მაშ ჰკა მას საერთო ძალით!

* * *

«სოციალისტური აზრი»-ს მეორე ნომერში მ. მელუა ეკამათება «ბრძოლის ხმას» 1924 წ. აჯანყების შესახებ, და იქვე სხოლიოში შენიშნავს: «განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალი «დამ. საქართველო», რომელიც პარტიის «მმართველი წრის» პირდაპირი გავლენის ქვეშ არის და რომელიც თავის 104 ნომერში არა თუ აგვისტოს შეფასებით კმაყოფილდება, კიდევ შორის იწევს და ახალი აჯანყების საკითხსაც დღის წესრიგში სვამს» (ხაზი ჩვენია).

ჩვენ გულდასმით გადავათვალიერეთ ჩვენი გაზეთის მე-104 ნომერი და ვერსათ ვიპოვეთ «ახალი აჯანყების დღის წესრიგში დასმა»; ნუ თუ ვიფიქროთ, რომ ავტორს არ ესმის, რას ნიშნავს მისი ფრაზის მნიშვნელობა, რამდენათ მიუტევებელია ასეთი ბრალდების სრულიად უსაბუთოთ სხვაზე მიწერა? შეიძლება მ. მელუა «საბუთად» სთვლის ჩვენი მეთაურის შემდეგ ფრაზას: აჯანყება «არის ბრძოლის ერთი ფორმა და იმავე დროს უაღრესათ თანამედროვე, რამდენათ ის შესაძლოა ხელსაყრელ პირობებში ისევ განმეორებულ იქნას». რას ეძახის მეთაური «ხელსაყრელ პირობებს»? აი რას: «მეზობელ ერებთან ერთ მთლიან ბრძოლის ფერხულში ჩაბმა, გადაბმა ჩვენი ბრძოლის სხვა ჩაგრულ ერთა ბრძოლასთან მთელი კავშირის მასშტაბში, გამოყენება თვით რუსის ერის ბრძოლისა იმავე მტარვალთა წინააღმდეგ».

მკითხველს ეოცება უთუოთ, რომ მის ყურადღებას ვაქცევთ მ. მელუას მოუფიქრებლათ წამოსროლილ ბრალდებას. ჩვენ მას ისევე უყურადღებოთ დავტოვებდით, როგორც იმავე მელუას მიერ ჩვენი გაზეთის დახასიათებას, თითქო ის განიცდიდეს ს.-დ. პარტიის «მმართველი წრის პირდაპირს გავლენას». ორგანო საერთო ფრონტისაა და, რასაკვირველია, იქ არის გავლენა ყველა იქ შემავალ პარტიებისა და არა მარტო ერთი პარტიისა, ამიტომ მეთაურიც ხელმოუწერელია. მაგრამ «აჯანყების წესრიგში დასმა», რომელსაც ასე ჯიქურათ გვაწერენ, უპასუხოთ ვერ დარჩებოდა ჩვენის მხრით.

ჩვენ გვესმის «სოციალისტური აზრის» ტენდენცია ეროვნული ბრძოლა გადაიტანოს ძველებურ

კლასიურ ბრძოლის ღიანდაგზედ, მას შეუძლია იკამათოს ამაზე ს.-დ. პარტიაში, მაგრამ, სანამ ერი უცხო ბორკილებშია, ჩვენს გზეთს არ სცალია ამისათვის. ქართველი ერი ერთი «კლასია», დამონებული, ღირსება ახდილი და აქედან მისი შვილებიც, განურჩევლათ მსოფლმხედველობისა, სამშობლოს განთავისუფლებას უნდა ემსახურებოდენ. სოციალიზმიც ერისთვისაა და არა წინაუკმო.

წერილი ამერიკიდან

სულ შემთხვევით წავაწყდით მეტად საინტერესო წიგნს საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე. წიგნის სახელია Noha's Grandchildren (ნოეს შვილის შვილები) და გამოცემულია Doubleday, Doran and Company, Garden City, Newyiork, ღირს ორი დოლარი. მისი ავტორი არის ამერიკელი მწერალი ბატონი Julier C. Chevalier. წიგნი დაწერილია მოზრდილ ბავშვებისთვის, თუმცა საინტერესოა ყველასთვის, განსაკუთრებით ქართველისთვის, რადგან იქ წაიკითხავს თავის ადათ ჩვეულებებს, რაც პატარაობაში უნახავს, გამოუცდია. და მეტსაც, რადგან დაკვირვებულს და ნიჭიერს უცხოელს უნახავს და აუწერია ის, რასაც ყოველ დღე მიჩვეული ქართველი ვერ ხედავს. წიგნი დაწერილია დიდი თანაგრძნობით და სიყვარულით საქართველოსადმი. შეიცავს 291 გვერდს და დაყოფილია 25 თავად. თან ართავს რამდენიმე სურათი ქართულ ცხოვრებიდან.

პირველ თავში ავტორი მოგვითხრობს თავის შესახებ: «ფეხშიშველა ბიჭი, დაბადებული და აღზრდილი დიდი ტექსასის შტატში. იჯდა ყვითლად ბეუტავ ლამპარს წინ და კითხულობდა დიდ წიგნს... «კიდობანი მეშვიდე თვეს არარატის მთაზედ შეჩერდა... გამოვიდა ნოე თავის შვილებით—სიმი, ქამი და იაფეტით... ნოემ გააშენა ვენახი... მოთხრობა დიდ წიგნში დაუთავებელი იყო...» ბიჭი ხშირად ოცნებობდა ნოეს და მის ჩამომავლობის ბედზე. გადაწყვიტა ოდესმე მოენახა ბოლო იმ მოთხრობისა... ენახა ის არე მარე და იქ მცხოვრები ხალხი. ბიჭი გაიზარდა კაცად. კაცმა იმოგზაურა ბევრი. ნახა ბევრი უცხო ქვეყანა და ბოლოს მიადგა არარატის მთას. იქ მან ვერ ნახა ვენახი, ვერც კაცი, ვინც მისი აზრით უნდა ყოფილიყო ნოეს შტო. მაგრამ მგზავრმა არ დაკარგა იმედი. გასწია ჩრდილოეთის და დასავლეთისკენ.. გადაიარა მთები და ველები... ერთ დაღმართზე მან ნახა ვენახები, ბაღები და ბოძებზე აშენებული, ყავრით გადახურული სახლები. დაღლილი ერთი ოდის მახლობლად ქვაზე წამოჯდა... სახლადან გამოვიდა მოხუცი, უთხრა «გამარჯობა» და თან მიართვა ყანწით ღვინო. მიიპატიჟა სახლში, ცოლმა ფეხი დაუბანა, საჭმელი აჭამა... მგზავრმა გაიფიქრა: «მგონი ჩემი გზა თავდება, ალბათ ეს არის ის ქვეყანა და ხალხი, მე რო ვეძებო»... მერე გაიგო, რომ ეს ქვეყანა იყო ქართლოსის, თარგამოს შვილისა, ნოეს შვილის შვილების. მგზავრს მოუთხრეს საქართველოსი და მისი მეფეების მრავალ საუკუნის თავგანწირული ბრძოლა თავის ერის და კულტურის დასაცავად... წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის შემოტანა და სხვა, და სხვა... და ბოლოს რუსების შემოსევა, მთელ საუკუნეს მათი თარეში... «წმინდა ნინოს მიერ ვაზიდან დაწნილი ჯვარი საუკუნოებით სასოებით ინახებოდა, სანამ მარადიორებმა რუსებმა არ მოიპარესო»... «მაგრამ ეს ყველაფერი წარსულია, სთქვა მოამბემ, ახლა ჩვენ გვყავს ჩვენი ახალი წინამძღოლი, ნასწავლი კაცი, მომწიფებული ხნისა, ჩვენი ნოე—ნოე ყორდანია»... «ახლა მგზავრი დარწმუნდა, რომ მიახწია თავის მიზანს და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... მან სიამოვნებით მიიღო მიპატიჟება... შვიდს წელიწადს სცხოვრობდა ეს მგზავრი ქართველებთან. ჭამდა მათთან, სვამდა მათთან... მათთან ილხინა—ლხინში, იტირა—ტირილში. მათთან იგემა მათი თავისუფლება, მათთან გვერდში იომა ომი...»

თვით მოთხრობა, რომელიც იწყება მეორე თავში, აქსოვილია ძმა-დის—გოგის და ქეთოს გარშემო, რომელთა სოფლის ცხოვრება აწერილია მათი დაბადებიდან. აგერ აკვანია დახატული შიგ მწოლიარე ბავშვით, რომლის თვალწინ მძივები და ჯვარია ჩამოკიდებული. ეს ალბათ გოგია არის, ვასოს და ნინო იმნაძეების შვილი, გურიაში დაბადებული. «პატარა გოგი თითქმის მუდამ ხელ-ფეხ მაგრად არტახებში შეკრულ აკვანში იწვა, რომ სწორად გაზდილიყო...» «გოგი იმიტომ დაერქვა, რომ წმ. გიორგის დღეობაზე იყო დაბადებული»...

«ნათლობას მღვდელმა პატარა ფეხების ქუსლებს ჯვარედინით ზეთი წაუსო, რომ მან იაროს სწორი გზით; მერე წაუსო ხელების გულზე, რომ კარგი საქმეები აკეთოს; ზეთი წაუსო აგრეთვე შუბლზე, რომ მუდამ სწორად იფიქროს»... «როცა გოგიმ სიარული დაიწყო, მისი აკვანი უკვე მოკლე იყო და მამამ ტახტი გაუკეთა, გოგის სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა მისმა ფეხებმა და ხელებმა თავისუფლება იგრძვნეს საბნის ქვეშ»...

ერთი ზამთრის დღეს ისევ უნდა ჩამოეტანათ შენახული აკვანი, რადგან გოგის, მის სასიხარულოდ, მიემატა პატარა და ქეთო... როცა გოგი წამოიზარდა, მამამ ნება მისცა მისი მაგიერობა გაეწია ახალწლის დილის მილოცვაში. მამამ მხოლოდ ჩიჩილაკი გააკეთა თხილის დიდი ჯოხიდან. გრძელი და წვრილად მოთლილი ბეწვები წმინდა ვასილის წვერ-ულვაშებს აგონებდა, რომელიც გოგიას ოზურგეთის მახლობელ საყდარში ენახა. დილა ადრე გოგიას მარნიდან მოაქვს გობი გავსებული ყოველნაირი ხილით და ჭირნახულით. დედა ეკითხება: «რა მოგაქვს»-ო, და კარს არ უღებს, სანამ არ ჩამოთვლის მის საკმაყოფილო ნივთებს და სურვილებს... დიდი სიამოვნებით არის აწერილი ახალი წლის გატარება და ქეიფი ამ სოფლის ოჯახში...

დრო მიდის, პატარა ქეთოც წამოიზარდა. მიყობა მამას ბათუმში ნათლის მამის სანახავად. იქ ზღვა, ბაღი და სხვა ბევრი რამე ძალიან მოეწონა. კმაყოფილი სახლში ბრუნდება. აქ მოყავს აბრეშუმის ჭია, რომლის თესლი ბათუმიდან ჩამოიტანა...

დიდი დაკვირვებითაა აწერილი გოგის და მისი მამის გამგზავრება კამეჩებ შებმულ ურმით სამეგრე-

ლოში ცხენის საყიდლად, იქ ნანახი ქორწილი, ტირილი და სხვა...

გოგის ბიძა მოუთხრობს ბავშვებს, რატომ ეძახდენ ძველად საქართველოს ამ ნაწილს «ოქროს ვერძის» ქვეყანას. ძველ დროს ამ მხრის მთები მდიდარი იყო ოქროთი. როცა თოვლი დნებოდა ან წვიმა წამოვიდოდა, მაგრად მოჩუხჩუხე პატარა მდინარეებს მოჰქონდა ქვიშა და ხრეშთან ერთად ოქროც. მცხოვრებნი ამაგრებდენ ამ მდინარეებში ცხვრის ბეწვიან ტყავებს, რომელზეც მძიმე ოქრო ადვილად რჩებოდა, უფრო სუბუქი ქვიშა კი წყალს მიქონდა... ნათლიას გოგი მიყავს ტფილისში სასწავლებლად. აქ ერთჯერ გოგი ხვდება ხანში შესულ უცნობს სასახლის ბაღში, რომელიც უკითხავს სურამის ციხის ლეგენდას და თავგანწირულ ზურაბის ამბავს. გოგი ადარებს ზურაბს საქართველოს პრეზიდენტს ნოე ჟორდანიას... მეორე დღეს გაოცებული გოგი სკოლაში კედელზე ჩამოკიდულ საქართველოს პრეზიდენტის სურათში გამოიცნობს გუშინდელ მასთან მოსაუბრეს..



ჯ. ჩეკალიე.

უკანასკნელ მე-25 თავში («ომი და ისევ უცნობი») მეტის მეტი თანაგრძნობით არის აწერილი საქართველოს უკანასკნელ წუთების აქტი—საქართველოს მთავრობის გამოსვლა. გოგი იდგა ნატანების სადგურის წინ... საქართველოს ჯარმა, მიუხედავად თავგანწირული სიმამაცისა, რუსის ჯარის სიმრავლეს ვერ გაუძლო... ტფილისი მტრის ხელში იყო. უკანასკნელი მატარებელი მოვიდა. ბოლო ვაგონში საქართველოს დროშა ფრიალებდა. იქიდან გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი. ის აბარებს გოგის დიდ პასუხისგებლობას. უკანასკნელი იმეორებს ზურაბის სიტყვებს: «არავინაა ისე ნამეტანი ახალგაზდა, რომ თავის ქვეყნისთვის არ შეეძლოს თავის განწირვა, სიკვდილი»-ო...

წიგნი რომ წავიკითხეთ, ზომები მივიღეთ მისი ავტორი მოგვენახა. მას მივაგენით ქალაქ ნიუორკის მახლობელ სოფელში ლამაზ პატარა სახლში ცოლშვილით მცხოვრებს. ბატონი შევალიე (ინგლისური გამოთქმით ჩევალიე) დიდი სიხარულით გაგვეცნო და სიამოვნება გამოსთქვა ამ შორეულ ქვეყანაში ქართველის გაცნობისა. ის მეტის მეტი საინტერესო და სასიამოვნო პიროვნებაა...

შეუძლებელია მისი ნაამბობის და საქართველოში მისი თავგადასავალის აღწერა. რადგან ეს არის მის კერძო ცხოვრებასთან ერთად ქართველი ერის ტრაღედია, და ამას ვინ მოსთქვამს, ვინ ამოწურავს... ერთ თავის საჯარო ლექციაში, რომელსაც ჩვენც დავესწარით, სხვათა შორის ბ-ნ ჩევალიემ განაცხადა: «ჩემი მოთხრობა უფრო ადვილი სათქმელი და მოსასმენი იქნებოდა, რომ საქართველო და მისი ტრაღედიის შესახებ ნაკლები ვიცოდეო; სინამდვილეს ბევრი რამ უნდა მოვაკლო, რომ დასაჯერებელი გავხადოვო»...

ბ. ჩევალიე 43 წლისაა. ის «მოუთმენელი ახალგაზდა» იყო, როცა მაშინ ჯერ კიდევ ომში არ შესული ამერიკა დასტოვა და კანადაში ინგლისის ჯარში მოხალისედ ჩაერიცხა... 1918 წელში მან ამოჰყო თავი ინგლისის ჯართან ერთად ბათუმში. მეტად ფხიზელი, დემოკრატი, სრულიად არა შეპყრობილი ინგლისის დამპყრობელი სულით, მან მალე ქართველებში ბევრი მეგობარი გაიჩინა. აქ შეირთო ცოლად ქართველების ჩამომავალი ოსის ალიევის ქალიშვილი. ყოველი ღონე იღონა ჯარიდან გასულიყო და ამისთვის ლონდონშიაც მოუხდა ჩასვლა. თავი რომ გაინთავისუფლა, ისევ საქართველოში დაბრუნდა... 1924 წ. გამოსვლის დროს შევალიე ქართველ მეგობრებთან ერთად დაპატიმრებული იქნა. აბრალებდენ «პარიტეტულ კომიტეტის» დამხმარე-მრჩეველად ყოფნას; კაპიტალისტურ ინგლისის და ამერიკის აგენტობას და სხვას... სამი წელიწადი დაჰყო ბოლშევიკების ჯოჯოხეთში—ბათომის ციხიდან დაწყებული «სოლოვკამდე». არ აცდენია, რასაკვირველია, მეტეხის ციხეს და ტფილისში მყოფ ჩეკისტების სარდაფებს. თმის ამაყენებელი, ჟრუანტელის აღმძვრელ ამბავს იტყვის ხოლმე. არა ერთხელ გაუყვანიათ ღამე სხვებთან ერთად დასახვრეტად. ნაწილი იხვრიტებოდა და ნაწილი ბრუნდებოდა უკან. ეს იყო ერთ საშვალებათაგანი — დარჩენილებისთვის აღსარება ჩამოერთმიათ. იყვნენ ისეთები მის მეგობრებსა და ნაცნობებში, რომელნიც სამ ოთხჯერ გაიყვანეს და ბოლოს აღარ დაუბრუნებიათ...

ბ. შევალიე განთავისუფლებული იქნა «სოლოვკიდან» ამერიკელების დახმარებით. მისი ციხეში ყოფნის დროს მისი ცოლი და ორი შვილი გახიზნულ იყვნენ კონსტანტინოპოლში, სადაც მისი ცოლი გარდაიცვალა. შვილები კი (ახლა ბიჭი 14 წლისა და გოგო 12 წლისა) ამერიკაში წაიყვანა წითელი ჯვრის საზოგადოებამ. მას ახლა მეორე ცოლი ყავს.

ბ. შევალიე ეწევა ლიტერატურულ მუშაობას. ის ცნობილია როგორც რუსეთის მდგომარეობის კარგად მცოდნე და სხვადასხვა ორგანიზაციები ლექტორად იწვევენ.

«ნოეს შვილის შვილი», რომელიც განსაკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ბავშვებისთვის არის დაწერილი, მისი საშინელი თავგადასავალი გამოტოვებულია. მაგრამ მზადდება ახალი წიგნი მისი თავგადასავლის საქართველოსა და რუსეთში, სადაც გადაშლილია სრული ტრაღედია...

ნაური.

უცხოეთის მიმოხილვა.

გერმანიის პასუხი.

დიდის მოუთმენლობით ელოდენ გერმანიის პასუხს საფრანგეთ ინგლისის, ასე ვსთქვათ, ვერსალის ზავის სალიკვიდაციო წინადადებაზე. ათი დღე საიდუმლო თათბირებს ეწეოდენ ბერლინში, ფიურერმა შეაჩერა ყველა დანარჩენი საქმიანობა—იწერებოდენ იქიდან, დაბოლოს კი აღმოჩნდა მარტო ორი გვერდი ქაღალდი! სახტათ დარჩენ, რა თქმა უნდა, და მიზეზიც ცხადი გახდა—რატომ.

საფრანგეთ-ინგლისის წინადადება, რომელსაც წინ უსწრებდა საფრანგეთ-იტალიის შეთანხმება, და აქედან—რომელიც წინასწარ თანაგრძნობას პოულობდა სხვა ყოფილ მოკავშირეთა, წარმოადგენს ფრიად საყურადღებო გეგმას მთელი ევროპის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ. პირველი და უმთავრესი, გერმანიასთან შეთანხმება იყო მიზნად დასახული. გერმანიას კიდევ დეკემბერს 1932 წ. შეპირდენ სრულს თანასწორობას, მაგრამ ვერ შეუსრულეს, და ამიტომ ის გავიდა როგორც ერთა ლიგიდან, ისე განიარაღების კონფერენციიდან. ვერ შეუსრულეს იმიტომ, რომ საფრანგეთი მოითხოვდა საზღვრების უზრუნველყოფას. შედეგი? გერმანია შეუდგა ინტენსიურ შეიარაღებას და არც მალავდა, რომ მან გადააბიჯა ვერსალის ვეტოს. ეს უკანონო დარღვევად გამოაცხადეს ძველმა მოკავშირეებმა, მაგრამ, ვინაიდან ომი არავის უნდა, პროტესტებს მოჰყვა გახურებული შეჯიბრება შეიარაღებაში და აქედან ნამდვილი პანიკა, რაც მაშინვე აღბეჭდა ბირჟამ. საარის პლებისციტი თითქო ახალი ომის საბაბად უნდა გამომდგარიყო, ფაქტიურათ კი ის გახდა გამოსავალი წერტილი ლონდონის სამშვიდობო თათბირებისა.

რა წინადადებას იძლეოდა ლონდონი? ერთბაშათ მოვვარებას ყველა სადაო კითხვებისა. ნებაყოფლობითი გაუქმება ვერსალის ზავის მე-5 ნაწილისა, რომელიც ზღუდავს დამარცხებულ გერმანიის შეიარაღებას, სამაგიეროთ გერმანია უბრუნდება ერთა ლიგას და განიარაღების კონფერენციას, ხელს აწერს შეიარაღების შეზღუდვა-შემცირების კონვენციას, ხელს აწერს აგრეთვე, სხვებთან ერთათ, დუნაის და აღმოსავლეთ ევროპის ურთიერთ მიშველების პაქტებს. კიდევ ერთი პაქტი, ძველი ლოკარნოს გამაძლიერებელი, რომელშიც, უწინარეს ყოვლისა, ინგლისი არის დაინტერესებული: საჰაერო ურთიერთ მიშველების პაქტი დასავლეთ ევროპისთვის, საფრანგეთ-ინგლის-იტალია-ბელგია-გერმანიის მონაწილეობით.

გერმანია უპასუხებს მხოლოდ უკანასკნელ წინადადებაზე დადებითათ და გადაჭრით. ლონდონი და პარიზი არ კვირობს: გერმანიას სულაც აკრძალული ჰქონდა სამხედრო ავიაცია, ჩვენს წინადადებაში ამ საგანზე მან დაინახა მისი საჰაერო შეიარაღების დადასტურებაო—ამბობენ იქ—და დასძენენ: გერმანია მოწადინებულია ამ დათმობით ინგლისი საფრანგეთს ჩამოაცილოსო. ბერლინში კი ამბობენ: ჩვენ გვინდა უზრუნველვყოთ დასავლეთი ევროპა ომისაგან, მზათა ვართ მსხვერპლისათვის და ეს აუცილებელია საბჭოთა კავშირის უწვერვალეს შეიარაღების წინაშეო.

რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, ბერლინი მოკლეთ უპასუხებს, რომ ის მზათაა მათ შესახებ გამართოს მოლაპარაკება, მაგრამ, ვინაიდან ნაკლებ შედეგს უნდა გამოველოდეთ მრავალრიცხოვან პარტნიორებთან მოლაპარაკებიდან, უფრო მიზანშეწონილათ მიგვაჩნია ცალ-ცალკე ველაპარაკოთ დაინტერესებულ სახელმწიფოთ, პირველ რიგზე, დიდ ბრიტანეთსო.

მოსკოვის შიში.

ყველაზე უკმაყოფილოა, ცხადია, მოსკოვი. ლავალმა ხელი მოუწერა ლიტვინოვს ჟენევაში, არ შეეკვრებოდა სხვა სახელმწიფოს, სანამ აღმოსავლეთის პაქტის დასადებათ ყველა საშუალებას არ ამოწურავდა. ლავალმა პირნათლათ შეასრულა დაპირება, მიმართა გერმანიას, პოლონეთს და ინგლისთანაც ეს პაქტი ერთ-ერთ პირობად შეიტანა საერთო დაზავების წინადადებაში. მაგრამ დიდი კითხვაა, რამდენათ შორს წავა საფრანგეთი ამ მხრივ; ლავალმა, მართალია, დაამშვიდა მოსკოვის ელჩი, «იზვესტიაც» ქებით იხსენიებს მას და პარიზის არქიბურჟუაზიულ «ტანს», მაგრამ საქმე მარტო საფრანგეთზე როდია დამოკიდებული.

გერმანია და პოლონეთი აშკარათ წინააღმდეგი არიან აღმოსავლეთის ურთიერთ მიშველების პაქტის. ნაზის პრესა სულ სხვა რიგ აყენებს კითხვას: მშვიდობიანობისათვის სახიფათო ჩვენ კი არა ვართ, არამედ მოსკოვიო. და მიუთითებს გენ. ტუხაჩევსკის ციფრებზე, წარდგენილს კავშირის მე 7 ყრილობაზე: ერთი მილიონი რეგულიარული ჯარი, ამდენი არტილერია, კავალერია, ავიაცია და სხ. უკვე შეუდგენ, ფიურერის ბრძანებით, მოსკოვის შეიარაღების დეტალურ ნუსხის შედგენას რათა ის მოიმარჯვონ მოლაპარაკების დროს. ამას ზედ ერთვის სოციალ-პოლიტიკური არგუმენტი: დასავლეთმა თავი უნდა დაიცვას მსოფლიო რევოლუციის ქაოსისაგანო.

არის ერთი ხმაც, რომელზედაც მოუხშირეს წერას, ხოლო ბერლინი და ვარშავა არ უარყოფენ საჯაროთ: მათ საიდუმლო პირობა აქვთ დადებული იაპონიასთანო. ტოკიო რომ საუკეთესო განწყობილებაშია ბერლინსა და ვარშავასთან, ამას თვალახვეულიც დაინახავს სამივე დედა-ქალაქში, თანამშრომლობა უთუოთ არსებობს და ეს კი ხომ მთავარია. ისმის კითხვა, როგორ შეუძლია აღმოსავლეთის პაქტს დაიცვას საბჭოთა კავშირი იაპონიისაგან? უკანასკნელი სულაც არ შედის ლონდონის კომბინაციაში, პოლონეთს თავდაუსხმელობის პაქტი აქვს დადებული საბჭოებთან, შეიძლება ამაზე გერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიამაც არა სთქვას უარი, თუ კარგ კომპენსაციას მიიღებს, უფრო შორს არ წავა.

ინგლისი და იტალიაც ხომ პლატონიურათ მიეკედლენ საფრანგეთის წინადადებას აღმოსავლეთის პაქტზე, ისინი არ ფიქრობენ ამისათვის აეშალონ გერმანიასა და პოლონეთს. და, თუ გერმანიამ დუნაის პაქტი მიიღო, აღმოს. პაქტის შანსი ნულზე დავა...

მაგრამ ჩვენ წინ უსწრებთ ამბებს, მოლაპარაკება რთული და ხანგრძლივი იქნება ლონდონის პროექტზე, არც ის შეიძლება ითქვას განხორციელდება ის თუ არა, ან როგორ განხორციელდება.

ჟორჟ ვერნერი

20 იანვარს კონში (ქენევის ახლოს), თავის საკუთარ ვილაში, მძიმე ავათმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქენევის უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორი ჟორჟ ვერნერი. განსვენებული უმთავრესად მეცნიერი იურისტი იყო, მარა იმავე დროს პრაქტიკული მოღვაწეც. იშვიათად მოიძებნება ადამიანი არამც თუ შვეიცარიაში, მთელ ევროპაშიაც, რომელსაც იმდენი დავალება ჰქონდეს შესრულებული თავის ქვეყნის სამსახურში, რამდენიც ვერნერს, და ყველგან წაუშლელი, ცხოველმყოფელი კვალი დაეტოვებიოს.

მარა ქართველ ერს ვერნერი განსაკუთრებით აინტერესებს, როგორც მისი საქმის ერთგული მეგობარი. ეს მეგობრობა, რომელიც მას ხანდისხან წინედაც გამოუჩენია წითელი ჯვრის ინტერნაციონალურ კონგრესების დროს საქართველოს წარმომადგენლისათვის საჭირო ცნობების და რჩევების მიცემით,—უმთავრესად 1924 წ. მაისიდან იწყება, როცა განსვენებულ კარლო ჩხეიძის ქენევაში ყოფნის დროს შევიდა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტში და ხელი შეუწყო საერთაშორისო სიმპატიის მანიფესტაციის მოწყობას. მიუხედავად ქენევაში მისულ საქართველოს ზოგ უღირს შვილის ბინძურ დაბეზღების და ინტრიგებისა, ვერნერი ბოლომდის დარჩა ერთგული ჩვენი საქმის და ეს ერთგულობა არა ერთხელ დაუმტკიცებია. მაგ. 1925 წ. ოქტომბერში თავმჯდომარე ნოე ყორდანიას ქენევის ინტერნაციონალურ კლუბში მიღების დროს, რომელსაც ისეთი მსოფლიოთ ცნობილი და წარჩინებული პირები დაესწრენ, როგორიც გიუსტავ ადორი იყო, ვერნერმა, როგორც პროფესორების წარმომადგენელმა (ის მაშინ უნივერსიტეტის რექტორი იყო), მხურვალე სიტყვით მიმართა ქართველ სტუმარს და ილაპარაკა მსოფლიო სინდისის სახელით. მისმა სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ინტერნაციონალურ წრეებზე. 1930 წ. როცა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურმა კომიტეტმა თავისი გამოჩენილი წევრის ბიუროში შეყვანა საჭიროდ დაინახა, ვერნერი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ თანამდებობით იყო დატვირთული, შევიდა ბიუროში, გახდა მისი ვიცე-თავმჯდომარე. 1932 წ. 26 მაისს ვერნერმა გამართა დიდი ზეიმი თავის მშვენიერ ვილაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სადღესასწაულოდ, რომელსაც დაესწრო დიდძალი ხალხი. გასული წლის ზაფხულში, თუმცა უკვე ავადმყოფობდა, დაპატიჟა თავის სახლში საქარ. წარმომადგენელი შავიშვილი, გამართა მასთან ხანგრძლივი მუსაიფი საერთაშორისო ვითარებისა და საქართველოს საკითხის შესახებ. განსვენებული ძალიან ოპტიმისტურათ უყურებდა საქართველოს საქმეს.

გაიგო თუ არა, 21 იანვარს დილით მისი გარდაცვალება, ხ. შავიშვილმა ქართველი ერის და თავისი პირადი სახელით სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ვერნერის ოჯახობას და 22 შუადღისას დაესწრო გასვენებას. კუბოს ამკობდა სხვათა შორის ორი ლამაზი გვირგვინი: «მადლიერი საქართველო ჟორჟ ვერნერს» (შავიშვილისაგან) და «საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი თავის ვიცე-თავმჯდომარეს ჟორჟ ვერნერს» (კომიტეტისაგან).

ბორდოს ქართველთა შორის

ჩვენ მივიღეთ ქ. ბორდოდან შემდეგი მოწოდება «კავკასიელთა წრის», რომელიც იქ დაარსებულა გასული წლის დეკემბერში:

«1934 წელში, ქ. ბორდოში მყოფ ქართველთა შორის დაიბადა აზრი, რომ შექმნილიყო «კავკასიელთა წრე» საქართველოს და მთელ კავკასიელ ერების საკეთილდღეოდ, რომელიც დაისახავს მიზნად, გააშუქოს კავკასიელ ერთა დამსახურებული წვლილი საერთაშოროისო ისტორიაში, მათ საკუთარი ეროვნულ ისტორიის საშუალებით, გააცნოს უცხოელთა საზოგადოებას და კერძოთ დაინტერესებულ პირებს, კავკასიელთა საკითხის ნამდვილი შინაარსი, რათა მოიპოვოს მათ შორის გულშემატკივარი და ნამდვილი თანამგრძნობი მეგობრები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ თავიანთ აგიტაციით კავკასიის ერების თვითგამორკვევას და განთავისუფლებას რუსეთის იმპერიალისტთა უღლისაგან.

«კავკასიელთა წრე» ითვალისწინებს, რომ უკვე არსებულ მრავალ ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში ხდება აზრთა სხვადასხვაობის გამოთქმა, მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიხედვით, რაც ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის უშუალო შესწავლას, ამიტომ იგი («კავკ. წრე») მიზნათ ისახავს და ეყრდნობა შემდეგ დებულებას: არ ექნეს მას სახე არავითარი პოლიტიკური დაჯგუფების და დასდგეს ყოველგვარ ასეთ სფეროს გარეშე თავის მოქმედებაში. მიუხედავათ იმისა, რომ მისი ყოველი წევრი შეიძლება ეკუთნოდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფის მიმართულებას, ეს მას ხელს არ შეუშლის იმუშაოს «კავკასიელთა წრეში», პარტიულ მიუდგომლობით, ქართველი ერის საკეთილდღეოთ, აგრეთვე გააღრმავოს თავისი ცოდნა და შეგნება თვითგანვითარებით.

ამასთანავე «კავკ. წრე» შეაკავშირებს აქა-იქ გაბნეულ ქართველ და კავკასიელ გადმოხვეწილებს.»

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.